ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 32
(11 489)

27 – 30 აპრილი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



5

# ქართულ ფარიკაობას თაობათა თავდადებით აქვს მოპოვებული არსებობის უფლება. ტრადიციებისადმი გულგრილობა კი არავის ეპატიება.

2



# არახამია ერთ-ერთი ლიდერია

ვარშავაში, მიმდინარე ქალთა ევროპის ჩემპიონატის 4 ტურის შემდეგ ერთ-ერთი ლიდერია ქეთევან არახამია, რომელსაც 3,5 ქულა აქვს, ნინო ხურციძემ 3 ქულა მოაგროვა, სოფიკო ხუხაშვილმა, ანა მათნაძემ და სოფიკო ტერელაძემ — 2,5-2,5; ნონა გაფრინდაშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა და თამარ ხმიადაშვილმა — 2-2; ნანა ძაგნიძემ, სოფიკო გვეტაძემ და მაია ლომინეიშვილმა — 1,5-1,5.

# გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ...

გუშინ: საზეიმოდ გაიხსნა თბილისის მოსწავლეთა საქალაქო სპორტული თამაშები;

● ევროპის ჩემპიონატის წინ ბათუმში შეკრებაზე ჩავიდა ბ/რ ჭიდაობის ეროვნული ნაკრები;

● თბილისში გაიხსნა საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, რომელშიც 12 ტურისტული კონცერნი მონაწილეობს.

დღეს: სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ჩატარდება დეპარტამენტის საბჭოს სხდომა (11 სთ).

ხვალ: გაგრძელდება „უნივერსიადა 2001"-ის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები.

ზეგ: ვაკის პარკში გაიმართება მასობრივი მძლეოსნური გარბენები. ორგანიზატორია სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი" (11 სთ.).

● ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება საქართველოს სამბისტთა სამი გუნდი ჭაბუკები, ახალგაზრდები, ეროვნული ნაკრები.

# პოლიტიკოსთა მესამე ადგილი – რის ფასად?

თავსგადახდილი პრობლემების შემდეგ, საქართველოს პოლიტიკოსთა საფეხბურთო გუნდი ერევნის გავლით, სომეხი მეგობრების დახმარებით, სოჭიდან თბილისში დაბრუნდა. ჩვენები რუსეთის ამ ქალაქში დსთ-ს ქვეყნების პოლიტიკოსთა ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობდნენ, ამჟამად მეხუთედ. პირველობა მოიპოვა „გაზპრომის" ნაკრებმა, მეორე იყო სანკტ-პეტერბურგის, მესამე — საქართველოს წარგზავნილები. ჩვენებმა ყველაზე ტემპერამენტიანი გუნდის პრიზიც მოიპოვეს. სპეციალური პრიზი გადაეცა რჩეულ ფეხბურთელს, პარლამენტარ კობა ამირხანაშვილს.

# ლელობურთი ლანჩხუთში

2



# საქართველოს „უნივერსიადა-2001"

## კალათბურთში გამარჯვებული სტუ-ს გუნდი



რობერტ ბაბოიანის ფოტოები.



3

### გაზეთის დაბეჭდვის წინ:

ველოსპორტი. ესპანელმა პედრო ხორილომ გერმანიის გზებზე ველორბოლის მეორე ეტაპი მოიგო.

ჩოგბურთი. ბარსელონაში მიმდინარე ტურნირში დამთავრდა მესამე წრის მატჩები. ესპანელმა კარლოს მოიამ ორ სეტში სძლია ფრანგ არნო კლემანოს 7:5, 6:2. ესპანელმა ფერერომ სძლია ნაკრებში თანაგუნდელ კოსტოს 6:4, 3:6, 6:3.



ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი. 69 კგ: 1. ე. დელილი (თურქეთი) — 322,5 კგ, 2. ა. მატვეევი 322,5 კგ, 3. ტურან მირზოევი 320,0.



უნივერსიადის ფინალური მატჩი. სტუ — თსუ

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

## ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 9 თვე და 11 დღე გვაშორებს

**8–24 თებერვალი 2002 წ.**

## ხალიჩიდან — ეკრანზე

ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ მხატვრულ ტანვარჯიშში ალიონა კაბაევას იაპონელი რეჟისორი იუსუკე ნაკანო გადაიღებს ამ ქვეყნის მეომრების სათავგადასავლო ფილმში „წითელი ჩრდილი“. რომელშიც კაბაევა ცირკის აკრობატის როლს შეასრულებს.

## სამთომეთხილამურეობის ცენტრი — 6 თვეში

ზუსტად ამდენი დრო დასჭირდა მოსკოვს, ახლო დაბა დედენოვოში მწყობრში ჩამდგარიყო სპორტულ-საწვრთნელი ცენტრი „ლეონიდ ტიაგაჩოვის სამთომეთხილამურეობის სკოლა“. კომპლექსს აქვს ორი საცხოვრებელი კორპუსი, მეთოდური კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კონფერენცდარბაზი, და სასადილო. ცენტრში მთელი წლის განმავლობაში იცხოვრებს 64 სპორტსმენი და 8 მწვრთნელი. მთავარი ამოცანაა აქ მოამზადონ ნიჭიერი ბავშვები, რომლებსაც კონკურსის შედეგად მთელს რუსეთში შეარჩევენ.

ლეონიდ ტიაგაჩოვი რუსეთის ეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტია.

# ლელობურთი

# საუკუნოვანი დავა ზემო და ქვემო შუხუთელებს შორის

ქართული რაგბის წარმატებებს, ჩვენი ეროვნული ლელობურთის წიაღში აქვს გადგმული ფესვები, ამიტომაც, ვფიქრობთ, მართებულია, როცა ქართველ მორაგბეებს „ლელოს შვილებს“ უწოდებენ. სად თამაშობენ დღეს ლელობურთს საქართველოში? ალბათ, ბევრგან არა, აღარც საქართველოს პირველობები ტარდება, რომელიც ადრე სტიმულს აძლევდა ჩვენი ამ ეროვნული საგანძურის სიცოცხლისუნარიანობას. და აი, ამ ფონზე რაოდენ გასახარია, გურიიდან, ლელობურთის ამ ძირძველი კერიდან, კერძოდ, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთიდან მიღებული ინფორმაცია, სადაც სპორტის ამ ეროვნული სახეობისადმი ერთგულებას დღემდე ინარჩუნებენ და ყოველ აღდგომას ერკინებიან ერთმანეთს ზემო და ქვემო შუხუთელები, ანუ ქვემოურები და ზემოურები. ბოლო 20 წლის მანძილზე მეტოქეთა შორის ანგარიში იყო 13:7 ზემოურთა სასარგებლოდ. ახალ საუკუნეში პირველი ასპარეზობა ამ დღეებში გაიმართა და ამჯერად იგი ქვემოურების გამარჯვებით დასრულდა და ანგარიში გახდა 13:8. ორივე მხრიდან შეჯიბრებაში ასეულობით ლელობურთელი მონაწილეობდა. ზემოურელები ეჭვობენ, რომ მეტოქემ თავისი რიგები ლანჩხუთიდან მოწვეული „ნადით“ გააძლიერა. გამარჯვებულებმა მთავარი ნადავლი — ბურთი უდროოდ დაღუპული ერთ-ერთი ახალგაზრდა ლელობურთელის საფლავზე მიიტანეს.



ახლა დავა იმაზე მიდის, მეოცე საუკუნის ანგარიში 17:7 გასული ათასწლეულის ისტორიას ჩაბარდეს, თუ შეფარდება ახალ ათასწლეულშიც გაგრძელდეს. არის მოსაზრება, რომ ახალი საუკუნიდან ახალი ათვლა დაიწყოს, მაგრამ ეს ხელს არ აძლევს ზემოურებს, რადგან, ამ შემთხვევაში 1:0 წინ ქვემოურელები იქნებიან. დავა გრძელდება.

აქვე დავძენთ, რომ ცნობილი რეჟისორი ლერი სიხარულიძე ამჯერად მეორედ აღბეჭდავს ფირზე ლელობურთს, ფილმს „აღდგომის ლელო“ ჰქვია. საინტერესოა, რა მსგავსება-განსხვავება იქნება ამ ორ ნამუშევარს შორის?

კიდევ ერთი: წლეულს პირველად ჩატარდა მოზარდთა შეჯიბრება შუხუთის სკოლის ნორჩ ლელობურთელთა მონაწილეობით.

## მილოცვები

„ლელოს“ რედაქცია გაბედნიერებას ულოცავს თანამშრომელს, ინჟინერ პროგრამისტ *ირინე სიდამონიძეს.*

* * *

„ლელო“ დაბადების დღეს ულოცავს თანამშრომელს *ნანი რამიშვილს.*

## „ლელოს“ თანამშრომელმა ბავშვობა და ლელობურთი გაიხსენა

მასალა ლელობურთზე, რომელსაც ზემოთ გაეცანით, კომპიუტერზე ააწყო წარმოშობით ლანჩხუთელმა ნანი რამიშვილმა. ამ ქალბატონს თვალწინ დაუდგა თავისი ბავშვობა და ჯერ ტექსტის აკრეფა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ რედაქციის თანამშრომლებს ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილება გაგვიზიარა. აი, მისი მონათხრობი: „14 წლამდე ბებიასთან ვიზრდებოდი და ზუსტად იმ გზის პირზე ვცხოვრობდით, რომელიც ერთმანეთს აშორებს ზემო და ქვემო შუხუთს. ყოველ 1 მაისს იმართებოდა ლელობურთი, რაც ყველაზე დაუვიწყარი და შთამბეჭდავი ზეიმი იყო. მაშინ ყველა ასაკის ადამიანი ებმებოდა თამაშში. უამრავი ხალხი გამოდიოდა იმ დღეს სათამაშოდ, ალბათ, უფრო მეტი, ვიდრე სანახავად. საოცარი ამბები ხდებოდა — ბურთი ხან ყანაში გადავარდებოდა, ხან ბაღ-ბოსტანში, ხანაც ეზოში და ირგვლივ ყველაფერი ითელებოდა, ბევრი გადანგრეული ღობეც მინახავს. ახლა წავიკითხე ეს წერილი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ჩვენი ძირძველი თამაში, მისი სილაღე და მასობრიობა რაღაც ჩარჩოებში მოუქცევიათ, თუმცა, სულ დაკარგვას, ალბათ, ასე სჯობს.“

## კრივი. საქართველოს ჩემპიონატი

# ვარიანმა ჩემპიონები დაასახელა

### რატომ იყვნენ თბილისელი მოკრივეები უპატრონოდ?

ნახევრსდაყრილ წრეში ფალავანთა შერკინებებით განებივრებულ ვარიანელთათვის რამდენადმე უცხო ხილივით იყო ტყავის ხელთათმნის ოსტატთა გამოსვლები, რომლებიც სახელოვანი თანასოფლელის, გიორგი კანდელაკის საწვრთნელი ბაზის რინგზე საქართველოს ჩემპიონატის ორთაბრძოლებში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქვეყნის წლევანდელმა პირველობამ საქართველოს 15 რეგიონიდან 70 მოკრივეს მოუყარა თავი. კრივის მოყვარულთა იმედები გაამართლეს ასპარეზობის მონაწილეებმა, რომლებმაც დაძაბულ შეხვედრებში გაიკვალეს გზა ჩემპიონობისაკენ.

2 1 3
კვარცხლბეკი

**48 კგ:** 1. შალვა ჯომარდაშვილი (ვარიანი), 2. ზვიად წულაია (ფოთი), 3. კახაბერ ტყებუჩავა, ზვიად ხადური (ორივე — რუსთავი); **51 კგ:** 1. ზურაბ ოჩიგავა, 2. ირაკლი სიჭინავა (ორივე — ფოთი), 3. ვოვა ჯანეზაშვილი (ვარიანი); **54 კგ:** 1. რამაზ ბებნაძე (ვარიანი), 2. თემურ ხურცილავა (ფოთი), 3. კონსტანტინე კუპატაძე (თბილისი), აკაკი წერეთელი (ჭიათურა); **57 კგ:** 1. ავთანდილ კაშია (ქუთაისი), 2. მალხაზ ედიშერაშვილი (თბილისი), 3. ტიტო გულიაშვილი (ვარიანი), კახაბერ ქვანია (ფოთი), **60 კგ:** 1. ვანო გოგიშვილი (ვარიანი), 2. დავით ხურცილავა (ფოთი), 3. ანზორ გორაძე (აჭარა), გოჩა რუსია (ფოთი); **63,5 კგ:** 1. პაატა ვარდოშვილი, 2. ბადრი კერესელიძე (ორივე — ვარიანი), 3. დავით ბერიძე (გორი), არჩილ ქავთარაძე (ჭიათურა). **67 კგ:** 1. მალხაზ ბერკაცაშვილი (ვარიანი), 2. მერაბ სვანაძე (აჭარა), 3. თეიმურაზ ახალკაცი (გორი), ლევან ნავერიანი (მარნეული); **71 კგ:** 1. ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა), 2. ლევან ჯლარკავა (ზუგდიდი), 3. ირაკლი გოგოლაძე (ქუთაისი), მინდია ნოზაძე (ვარიანი); **75 კგ:** 1. დათო წიკლაური (თბილისი), 2. გოგა ადუაშვილი (ვარიანი), 3. გია ჭელიძე (ქუთაისი), ნიკა დავლიანიძე (თბილისი); **81 კგ:** 1. ზურაბ უჩანეიშვილი (აჭარა) 2. გიგა აბულაძე (ვარიანი), 3. იუზა გულორდავა (ფოთი). **91 კგ:** 1. ილია ტლაშაძე (ვარიანი), 2. დათო გეგეშიძე (თბილისი), 3. ოთარ მამასახლისი (ქუთაისი), ლევან ჯავახიშვილი (გორი); **+91 კგ:** 1. ვლადიმერ ჭანტურია (ფოთი), 2. შალვა გოგოლაძე (თბილისი), 3. გიორგი მაზმიშვილი (ვარიანი).

ასპარეზობაზე სიახლე ის იყო, რომ მსაჯობა კომპიუტერით ჩატარდა, რომელიც დარბაზის მასპინძელმა გიორგი კანდელაკმა უცხოეთიდან ჩამოიტანა. და კიდევ, გამარჯვებულთა შორის, ალბათ იცანით, იყვნენ მოკრივეები (ბებნაძე, ტლაშაძე), რომელთაც პროფესიონალის სტატუსი აქვთ და გამოსულან კიდევაც პროფესიულ რინგზე. მათ ჯერჯერობით აქვთ მოყვარულთა რინგზეც ასპარეზობის უფლება.

დასასრულ უნდა ითქვას იმაზეც, რომ დედაქალაქის კრივის მესვეურები სრულიად გულგრილად, მეტი რომ არა ვთქვათ, მოეკიდნენ რესპუბლიკის ჩემპიონატს, სადაც თბილისელი მოკრივეები ბედის ანაბარა იყვნენ, ისინი საკუთარი თანხებით, მწვრთნელის გარეშე ჩავიდნენ ვარიანში, იხდიდნენ კვებისა და ღამის თევის თანხას და ა.შ. ალბათ, ასეთმა უგულვებელყოფამ განაპირობა ის, რომ დედაქალაქელმა სპორტსმენებმა უძლიერესის სახელი, რომელსაც ისინი ტრადიციულად ინარჩუნებდნენ, ამჯერად დათმეს და მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდნენ.

გუნდური პირველობა მასპინძლებს — ვარიანელ მოკრივეებს ხვდათ — 66 ქულა, მეორეა ფოთის გუნდი — 34,5, თბილისი მათ საგრძნობლად ჩამორჩა 25,2 ქულით — მესამეა.

**ვალერი ძენძაძე**
**გორი, ვარიანი**



## კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

# ფლეი-ოფების ნახევარფინალების სერია

**27 აპრილი** (16 სთ): სტუ-ჯეოსელი — აზოტი; **28 აპრილი:** მაკაბი — ბასკო (14 სთ), აზოტი — სტუ-ჯეოსელი (16 სთ). თუ საჭირო გახდა მესამე მატჩი — გაიმართება 29 აპრილს.

**1 მაისი:** ბასკო — მაკაბი (საჭიროების შემთხვევაში მესამე მატჩი გაიმართება 2 მაისს, ბათუმში). ფინალური ეტაპი. **4-6 მაისი.** მატჩები III — IV ადგილებისთვის; **7-10 მაისი.** მატჩები I—II ადგილებისთვის.

მატჩები ჩატარდება ორ მოგებამდე.

## პრობლემა ხმაურობს

# ნუ გადაუკეტავთ ქანგბადს ქართულ ფარიკაობას

**არსებობის უფლება ფარიკაობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით და სპორტსმენ მუშკეტერთა თაობების თავდადებით აქვს მოპოვებული.**

საქართველო უხსოვარი დროიდან ითვლებოდა რაინდებისა და ვაჟკაცების ქვეყნად, საკუთარი ბედუკუღმართი ისტორია აიძულებდა ქართველ ხალხს შრომის დროსაც ხელიდან არ გაეშვა იარაღი, თვითმყოფადობისა და ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად, ალბათ, გარკვეულწილად ამიტომაც იყო განპირობებული ქართველი ახალგაზრდობის დაინტერესება ფარიკაობით. აკი, ოდითგანვე, უძველესი ქართული სასცენო ხელოვნება, ქართული ცეკვა, ფარიკაობის უამრავ ელემენტს შეიცავდა. დღევანდელი ჩვენი პუბლიკაცია უფრო ნოსტალგია, წარსულისკენ მიბრუნება და ქართველ მუშკეტერთა საერთო გულისტკივილია ამ უძველესი და ჭეშმარიტად ჯენტლმენური სპორტის სახეობის მივიწყებისა და შეგნებული უგულვებელყოფის გამო. უპრიანი არ იქნებოდა შეგვეხსენებინა რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობისათვის (რომელიც ათეული წლების მანძილზე განებივრებული იყო ქართველ მუშკეტერთა მიღწევებით), რომ ფარიკაობა იყო და კვლავაც რჩება ყველა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ერთ-ერთ წამყვან სახეობად და რომ მარტო ამ სახეობაში 10 ოქროს მედალი თამაშდება. თუმცა, ჩვენ ისე გაგვიტაცა ყველგან და ყველაფერში ნოვაციების სურნელმა, ახალი სპორტული სახეობების შემოღებამ და სპორტულმა კომერციამ, რომ თანდათან გაგვინელდა ინტერესი ფარიკაობისადმი. ამიტომაც ბუნებრივია, გამოგვეპარა ჩვენი საფარიკაო სკოლის მოულოდნელი კრიზისი (თუმცა, ამ ჩავარდნას მოულოდნელს ვერაფრით ვერ დავარქმევთ).

ურიგო არ იქნებოდა, თვალი გადაგვევლო ქართული ფარიკაობის არც თუ ისე შორეული წარსულისათვის, რამდენადაც, სპორტის ამ სახეობაში სასახელო ტრადიციებს ქმნიდნენ ცნობილი სპორტსმენები და მწვრთნელები. მსოფლიოს, ოლიმპიური და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები — ნუგზარ ასათიანი, ვლადიმერ აფციაური, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გურამ კოსტავა, მსოფლიო ჩემპიონები იუნიორთა შორის გურამ ლორთქიფანიძე, გივი ანდრიაძე; პრიზიორები დიმიტრი შარაშენიძე, ავთანდილ კიკნაძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები მორის სახვაძე, თამაზ ესართია, გია აბაშიძე, რევაზ ცირეკიძე, იური ოსიპოვი, მალხაზ ადეიშვილი, არჩილ გოგელია, ისე სიხარულიძე, აკაკი მახარაძე, დავით თურქია, გია პაიჭაძე, ოლეგ ჩერნიშოვი; მწვრთნელები: ტრიფონ მესხი, შოთა დარასელია, აკაკი მეიფარიანი, ვლადიმერ ქოჩიაშვილი, ანატოლი ფიოდოროვი, ვლადიმერ გოლოვნია, მალხაზ გაბუნია, ლუდვიგ ლაღიძე, თამაზ ძაგანიშვილი, გიორგი დავთიანი, სიმონ აჯიმამუდოვი, გალაკტიონ ჩიქოვანი, როზა ჯოლოგუა, ზურაბ თავაძე და სხვები. სწორედ მათ გაიტანეს ქართველ მუშკეტერთა სახელი დიდ ასპარეზზე და მოუპოვეს ქართულ ფარიკაობას საკავშირო აღიარება. სპორტი ძალიან წააგავს ცხოვრებას, მასაც გააჩნია აღმასვლა და დაცემა, მასაც, როგორც ხეს ცხოვრებისას სჭირდება ადამიანური მზრუნველობა (რათა არ გაუხმეს ფესვები და ნაყოფიც ღირსეული გამოიღოს).

ნათქვამია, „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“, მაგრამ იქნებ პირველ მერცხალს სხვა მერცხალთა გუნდებიც შემოუერთდნენ და ხელი შეუწყონ ფარიკაობის მინავლებული ნაკვერჩხლიდან ცეცხლის აბდღვიალებას. ცეცხლისა, რომელსაც ანთებდნენ ქართველი მუშკეტერები ქვეყნის, საკავშირო თუ მსოფლიო ასპარეზობებზე.

ალბათ, დროულია, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის უმეტესი საფარიკაო ბაზები სავალალო მდგომარეობაშია, სრულფასოვანი ბაზების გარეშე კი, დამერწმუნებით, ყოველგვარ მნიშვნელოვან წარმატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. კატასტროფულ მდგომარეობაშია საფარიკაო ინვენტარი, შორეული წარსულის მოგონებად იქცა მოფარიკავისათვის საჭირო აუცილებელი ატრიბუტებით აღჭურვილი მუშკეტერები. გამართული აპარატურა. ნიღბები, ხმალი, რაპირა, დაშნა, რაოდენ სავალალო უნდა იყოს, ფარიკაობის მატერიალური ბაზის სიმწირის გამო, კვლავ დავუბრუნდით მე-20 საუკუნის 50-იან წლებს, როცა ცნობილი მწვრთნელი სიმონ საყვარელიძე თავის ზესტაფონელ მუშკეტერებს თხილის ჯოხებით ავარჯიშებდა, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ ხის ჯიში შეიცვალა და შინდის ხის ჯოხი გამოიყენება სავარჯიშოდ (იხ. გაზეთი „ლელო“ №21).

დიდი კონსტანტინე ბრძანებდა, ვინც არ ყოფილა შეგირდი, ვერაფრით ვერ გახდება ოსტატიო, სწორედ ოსტატის ოსტატობაზეა დამოკიდებული შეგირდის წარმატება. არადა, დღეისათვის სულ უფრო და უფრო იგრძნობა კვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობა. დღესაც, როცა სპორტის თითქმის ყველა სახეობა არნახულ აღმავლობას განიცდის, ქართველი მწვრთნელების უმრავლესობა მოძველებული მეთოდებით აგრძელებს მუშაობას, მათ გამოცდილებასთან ერთად, მინდობილი საქმის სიყვარულიც აკლიათ. ცხადია, ეს განპირობებულია ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და შრომის მიზერული ანაზღაურებით. საქართველოდან გაედინება პროფესია და პროფესიონალიზმი... სამწუხაროა, რომ დღეს ქართული საფარიკაო სკოლა მწვრთნელთა ნაკლებობას განიცდის, მაშინ, როცა საზღვარგარეთის ქვეყნები თავიანთ სპორტულ დარბაზებში მაქსიმალურ პირობებს უქმნიან მათ მუშაობისათვის. დღეისათვის ამერიკაში მოღვაწეობენ წარსულში ცნობილი მოფარიკავეები: გია აბაშიძე, გურამ და აჩიკო ლორთქიფანიძეები, გია კვარაცხელია, კუვეიტში არიან გურამ კოსტავა. ვლადიმერ აფციაური და ჯემალ გამიაშვილი. ყველა დიდ საქმეს თანადგომა სჭირდება. დღეს ამ მამულიშვილურ საქმეს სპონსორობას ეძახიან. თუმცა, ფარიკაობა საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმაც მიივიწყს და სპონსორებმაც. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს მხოლოდ აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და თბილისის მერია წარმოადგენს, რომლებიც შეძლებისდაგვარად მხარში უდგანან ქართველ მუშკეტერებს. იქნებ დროულია დავფიქრდეთ და პოლემიკის საგნადაც ვაქციოთ ქართული ფარიკაობის ბედის თემა.

**თენგიზ მორჩილაძე,**
**აჭარის ა/რ ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.**

**რედაქციისაგან: 32 წლის წინათ, 1964 წელს, „ლელოში“ გამოქვეყნდა არჩილ გოგელიას წერილი „საით მიდის ქართული ფარიკაობა“. ავტორი თავად ყოფილი მოფარიკავე გულისტკივილს გამოთქვამდა სპორტის ამ სახეობაში თავჩენილ პრობლემებთან და კრიზისთან დაკავშირებით. სიმართლე უნდა ითქვას, შემდგომ წლებში ქართულმა ფარიკაობამ კვლავ განიცადა აღმავლობა. ბოლო 10 წლიწადში კი, ცნობილი მიზეზების გამო კვლავ დაიწყო დაღმასვლა. თენგიზ მორჩილაძემ ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავის წერილში.**

# ჭიდაობაში შეფიცული ძმობა

## ნამდვილი ამბავი

სადალაქოში ხუთიოდე კაცს მოეყარა თავი, ზოგი რომ ფეხზე იდგა, ზოგიც გრძელ სკამზე ჩამომჯდარი მოთმინებით ელოდა რიგს. წვერმოშვებული ჩილინდრიანი გიორგა, ვინ იცის, მერამდენედ აბუქებდა ნადირობისას თავსგადამხდარ ამბავს და უკვირდა, რომ არც ერთი ამათგანი ძველებურად აღარც შეკითხვას აძლევდა და აღარც თავის ქნევით უდასტურებდა ნათქვამს.

— რა მაგ სიტყვის პასუხია და ამ ჩვენს ტყეში რამდენი მგელია? — ყველამ თავი ლაშაურიანთ ვასოსკენ მიაბრუნა, კვიმატი ენის პატრონს ღიმილით მიაშტერდნენ.

— როგორც ვიცი და სტატისტიკის სამმართველოდანაც ასე მაცნობეს თოთხმეტია... ხუთი მამრი და ექვსი ძუ. ისე კი, რომ იცოდეთ, ტყეში ჯერ აღწერა არ დაწყებულა, ძველ მონაცემებს მოგახსენებთ. — უპასუხა ნაბულალტერმა ელიზბარამ და გაშლილი თითებიდან სამი მოკეცა.

— სამი რაღა იქნა?

— პენსიაზე გავიდნენ...

— მოხუცებულობით თუ ავადმყოფობით?

— ავადმყოფობით, ისე, როგორც მე, ცოცხლებში აღარ სწერიან.

— რატომ ელიზბარ, რა გჭირს ჯერ საიქაო, რომ ასე უცბად გამოუყვანე საკუთარ თავს წირვა?

— ეგრე კია და... მე უკეთ არ ვიცი ჩემი თავისა?

უეცრად მოსახვევში ქენებით შემოვიდა ვიღაც მხედარი და გეზი სადალაქოსკენ აიღო.

— ჩქარა სანდრო, ჩქარა! თავი გვეჭრება და ეგ არი, ალაიანში ჭიდაობაზე, ჩემს იქ ყოფნაში ოთხი ჩვენებური წააქციეს და მერე რამდენი, ღმერთმა იცის.

— რას ამბობ, ვერან რასა, დილას აქეთ ამას ველოდები, სხვა დალაქი არა გვყავ, რა დროს ჭიდაობაა, ხომ ხედავ, წვერი ჭიპამდე მაქვს დასული...

— შენცა თქვი რა, ძია გიორგი, თავი გვეჭრება-მეთქი და შენ კი ბალანსა ჩივი.

— ვინ წააქციეს? — იკითხა ელიზბარამ.

— ქოსაანთ ვანო, ღირღიტაანთ გელა, შამფურაანთ ავთანდილა და ბუტყაჭაანთ შაქრო.

— ჰოო... მართლაც ვერ ყოფილა საქმე კარგად. მოძღვრიაანთ ელგუჯა არ წაიყვანეთ?

— არ წამოვიდა, ცოლი მყავ ავადო.

— ავად კი არა, ორსულადაა.

— სხვა რა ჩარაა, უნდა წახვიდე სანდრო.

— როგორ კაცო, სანამ მე იქ ფეხით ჩავალ ჭიდაობაც დამთავრდება.

— ჩემი ცხენი წაიყვანე, იორღაა, ხელათ იქ გაჩნდები.

— რა ვქნა, აღარ ვიცი?...

— წადი, წადი, ხვალ მოვალთ, ხვალაც ხომ ამ თვისაა...

— კარგი წავალ... — სანდრომ თეთრი ხალათი გაიძრო და გახუნებულ ხალათში წაყო ხელები.

* * *

ბებერ კაკლის ძირში, საჭიდაო მოედანზე კარგა ბლომად ხალხს მოეყარა თავი. ხის გრძელ სკამებზე მანდილოსნებიც ერივნენ. გაზეთებისა და მარაოების ხშირი ქნევით ებრძოდნენ ივლისის სიცხეს. ახალგაზრდები, პირველი რიგის წინ, სწორედ იქ მოკალათებულიყვნენ, სადაც საჭიდაო არენა იწყებოდა. ბავშვები კაკლის ტოტებზე ბეღურებივით შემომჯდარიყვნენ და იქიდან ამხნევებდნენ თავიანთ სოფლელებს თუ ახლობლებს. მსაჯთა ბრიგადისათვის იმავე კაკლის ძირში ჩაედგათ მაგიდა და იმის გვერდით სამი სკამი — მეზურნის, მედუდუკის და მედოლესათვის. მთიდან მონაბერი გრილი ნიავი მუდმივად რომ უქიქინებდა იმ არემარეს, მაინცდამაინც იმ დღეს ჩამდგარიყო და ახლა მზის დიდი დისკო მაყურებელთა და გულშემატკივართა საგულისჭიროდ, ხელისშეშლად ახვავებდა გარშემო ხვატსა და ბუღს.

ჭიდაობის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლდა სანდრო გაგელიძემ და მისმა თანამგზავრმა, რომ მოაგელვეს ცხენები. ახალმოსულებმა თვალებით თანასოფლელებს დაუწყეს ძებნა და სულ მალე შენიშნეს წრის გარეთ ერთად შეგროვილი წილკნელები, რომლებიც დამუნჯებული გაჰყურებდნენ ოფლში გახვითქულ მოჭიდავეებს.

— რა მოხდა, ბიჭებო?

— რაღა რა მოხდა, გადაგვიარეს და ეგ არის...

— შენ თუ ჩამოგვრეცხავ ამ სირცხვილს, თორემ სოფელში აღარ მიგვესვლება.

— აი, ჩოხა ჩაიცვი, მე მივალ, ჩავაწერინებ შენს გვარს.

„სანდრო ჩამოუყვანიათ, სანდრო“. ატყდა ჩურჩული ჭიდაობის მოყვარულთა შორის. ეს გადაძახილი მსაჯებსაც მისწვდათ და ერთი ორმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი.

წრეში შესულმა კუსპარა მსაჯმა ხელი ასწია, ხალხს სიწყნარისკენ მოუწოდა და ომახიანად ამოიძახა:

— თხილაშვილი ალაიანიდან, გაგელიძე წილკნიდან. შენ დაუკა! — მედოლე, მეზურნეების დასტამ ჯერ ქართული საცეკვაო დაუკრა და როცა საროსტანა მოჭიდავე, რომლის მაღალი, უზადო, ჩამოქნილ სხეულს ხინჯის ნასახიც კი არ გააჩნდა, წრეში შევარდა და იქ შეყრილმა მაყურებლებმა ტაში დასცხეს. თხილაშვილი გამოსვლისთანავე სანდროს იღლიასთან ჩოხის სახელურს მისწვდა, მოქაჩა, დაითრია, მერე უეცრად მხარი მიუშვირა და კისრულის ილეთისათვის დამახასიათებელი მოძრაობით პირველსავე წუთებზე დაუპირა მიწიდან მოწყვეტა და ამოტრიალება. „ნამდვილად ძალა ჰქონია, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ რა იმისთანა გამოუცდელი მე მნახა, რომ ასე იოლად მოისურვილა თავის ანკესზე წამოგება“. სანდრო მიჰყვა სიჩქარეს, უეცრად მარჯვენა ფეხი მუხლთან გადაუდო და ინერციადაკარგულმა მოჭიდავემ ცხვირით ნახერხი გახაზა. „უჰ“, ამოხდათ ალაიანელებს. „ახლა კი საჭიროა შუა სარმით მოვათავო საქმე“. სანდრომ საგულესთან ჩოხაში ხელი ჩაკიდა, ფეხი ლაჯებშუა შეუყარა, მაღლა ასწია, ზემოდან მოქცეულმა მკლავის ძალა თავისავე სხეულის სიმძიმით გაასამმაგა და მასთან ერთად დაეშვა ნახერხდაყრილ მიწაზე.

თხილაშვილის თანასოფლელთაგან არავინ ელოდა მათი რჩეულის ასეთ დამარცხებას, წაქცევა წაქცევაა, მაგრამ ასე ელვისებურად, მოულოდნელად მართლაც, რომ ძნელად მოსანელებელი იყო.

ტაში და ომახიანი შესახილები იმ მხრიდან გამოვარდა, სადაც ერთადთავმოყრილი წილკნელები იდგნენ. ფეხზე წამოვარდნენ და ხტუნვახტუნვით გავარდნენ მოედანზე, ხელში ატაცებული სანდრო გამოიყვანეს და კინაღამ ხვევნა-კოცნით დაახრჩეს.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, მაგრამ ფეხზე წამომდგარი ხალხი საჭიდაო მოედანზე გასულმა მთავარმა მსაჯმა ხელის აწევით შეაჩერა.

— ხალხნო! ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს გამარჯვებულ ფალავანს ხელმეორედ ვთხოვოთ მოედანზე გამოსვლა. მაგრამ თუ პატივს დაგვდებს და ერთხელ კიდევ მოგვხიბლავს ლამაზი ჭიდაობით ფრიად დაგვავალებს. —

ყველა იქით მიტრიალდა, სადაც სანდრო გაგელიძე ჩოხას იხდიდა.

— არა, არა! — აყვირდნენ წილკნელები. — „დაიღალა“, „ეყოფა“, „საკმარისია“.

სანდრომ თვალი გადაავლო ზღვა ხალხს. ერთი წუთით შეჩერდა. ამ დროს უნდა გადახრილიყო სასწორის პინა — ან თავმდაბლობისაკენ, ან ქედმაღლობისაკენ, ან პატივმოყვარეობისაკენ, ან მაყურებელთა პატივისცემისაკენ. ობლობაში, შრომა-წვალებაში გაზრდილს, ღმერთმა დაანათლა ალალმართლობა, სიკეთე, ადამიანებისადმი ნდობა და არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო.

— არ გახვიდე სანდრო! ახლა ალბათ მაგის ძმას გამოგიყვანენ, ის, შენზე დიდიც არის და მძიმეც. — აფრთხილებდა მგალობლიანთ შალიკო, მაგრამ გვიანღა იყო, გახდილ ჩოხას სანდრო ხელს უყრიდა და მაყურებელთა ტაშისგრიალში მოედნისკენ მიემართებოდა.

ორი დღით სახლში მობრუნებული თავჩობანი ლექსო თხილაშვილი მაშინ მოადგა საჭიდაო მოედანს, როცა ჩოხაში გამოწყობილი მისი უფროსი შვილი ვიღაც უცნობ მოჭიდავეს ხელს ართმევდა. მწყემსობაში გაჭალარავებულს, ახალგაზრდობაში არაერთხელ გამოუცდია მკლავის ძალა, სხვაც წაუქცევია და თვითონაც წაქცეულა, მაგრამ მიუხედავად სიჭარმაგისა, სპორტული ჟინი მაინც შემორჩენილი ჰქონდა და საჭიდაოს ჰანგების ხმაზე ჟრუანტელი უვლიდა, სხეულში მდორედ მიმავალ სისხლს ისევე აჩქარებდა, როგორც გაზაფხულის ნაკადულს ჟუჟუნა წვიმის ჩქერი.

ორთაბრძოლა, როგორც იტყვიან, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო, ფალავნები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, მათ ფეხქვეშ ავარდნილი ნახერხის მტვერი ქარბორბალასავით ტრიალებდა. ძმის დამარცხებით გამწარებული უფრო თხილაშვილი გამეტებით უტევდა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე გადაეხადა სამაგიერო დედამისშვილის შემარცხვენელისათვის. სანდრომ იცოდა, რომ ასეთ თავდავიწყებას ხშირად ტრავმა მოსდევდა, ისიც კარგად ახსოვდა, რომ ასეთ დროს ადვილი იყო შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის შეცდომაში გამოჭერა, სანუკვარი გამარჯვების მოპოვება და, მართლაც, როცა გარესარმისაგან ფეხი გაინთავისუფლა საყრდენგამოცლილი მოჭიდავე შუაკაურით მაღლა ასწია და ასხმარტალებული მოწინააღმდეგე ბეჭებზე დასცა. ახლა უკვე შინაურ-გარეული ერთხმად უკრავდა ტაშს ვეფხვივით სწრაფ მოჭიდავეს.

სანდრომ ქამარი გაისწორა, მივიდა, წაქცეულს წამოდგომაში დაეხმარა, ხელი გაუწოდა და მოხდა მოულოდნელი, ფეხზე წამოჭრილი ჯიქურ მიეჭრა და ყბაში სილა ისეთი ძალით გაულაწუნა, რომ გაჩუმდა, დადუმდა, გაისუსა ყველა იქ მყოფი, ენაზე კლიტე დაედო ძეხორციელს, თითქოს გარეშემოში მოქრიამულე ბეღურებმაც კი შეწყვიტეს ჟივჟივი. ცოტახნის შემდეგ, სამარისებური სიჩუმე ვიღაცის ყვირილმა დაარღვია:

— ეგ რა ჰქენი, შე რეგვენო, შენა!?...

რიგებს შორის ლექსო თხილაშვილი მიისწრაფოდა ხუთი თვის უნახავი შვილისაკენ. მივარდა, მათრახი მოიქნია და გამეტებით გადააწნა თავის საფიცარ ვაჟკაცს.

— ჭიდაობით ვერაფერი დააკელი და ამით გინდა მოიფხანო გული? — მკლავი ჩამოუშვა, თავი დაღუნა და ასე იდგა ერთხანს დარეტიანებულივით, მერე შეტრიალდა, შვილს მათრახდარტყმულ ბეჭებზე ხელი გადაუსვ-გადმოუსვა და როყიო ხმით ჩაილაპარაკა:

— დღეის შემდეგ ეს ახალგაზრდა თქვენი ძმა იქნება, თუ ეს დაქორწინდება, შენ იქნები ნათლია და თუ შენ, ესა. აბა, ახლა კი შეფიცე ძმობა და გადაკოცნეთ ერთმანეთი.

* * *

სამამულო ომი მძვინვარებდა, შინ დარჩენილი ბავშვები, ინვალიდები, მოხუცები ჭირნახულის მოსაყვანად მინდორში ათენ-აღამებდნენ, მხოლოდ მზის გადასვლის ჟამს თუ მოიყრიდნენ თავს ერთად და ერთმანეთს ეკითხებოდნენ რადიოთი გადმოცემულ ფრონტის ამბებს. იმ დღესაც ღვთისმშობლის ტაძრის უკან მაღაზიის წინ გაემართათ სჯა-ბაასი, კამათობდნენ აქაურზე თუ იქაურზე.

— გამარჯობათ ხალხო! — გადასძახა ვიღაც მოხუცმა შეკრებილთ და ხურჯინგადაკიდებული, ცხვარმიბმული ცხენი შეაჩერა.

— გაგიმარჯოს!.. — იყო პასუხი.

— სანდრო გაგელიძე სადა ცხოვრობს, ვერ მიმასწავლით?

— სანდრო ხომ ფრონტზეა, ძია კაცო.

— ვიცი, მაგრამ ოჯახი ხომ აქ არის!

— ოჯახი კი, გივი, გაჰყევი შვილო, გზა მიასწავლე.

ეზოში შესულ უცხო ცხენოსანს გაკვირვებული შეჰყურებდა სანდროს მეუღლე ნინა.

— ცუდი თუ რამ იცი, ნუ მეტყვი ძია, უკანასკნელ იმედს ნუ მომიკლავ.

— არა, რატომ ცუდი, სანდროსთანა ვაჟკაცთან აუგს რა უნდა. აი, ცოტა რამ მოგიტანეთ...

— ბოდიში, მაგრამ ვინა ბრძანდებით, სანდროს საიდან იცნობთ?

— მამობილი ვარ მისი. თხილაშვილი ლექსო, ალაიანიდან. თუ გაგიგია?

— ჰოო, როგორ არა, ნათქვამი აქვს ჩემთან...

— ცხვარს ამ ჭერამზე გამოვაბამ, ეს ხურჯინი კი გამიცალე. დღეის შემდეგ ხშირად გამოგხედავთ ხოლმე.

— რატომ წუხდებოდით...

— ამ პატარას რა შეარქვით სახელად?

— ტარიელი...

— ტარიელივით ესახელებინოს საქართველო, ჩამოვა სანდრო და მე მოვნათლავ, ჰო, რა კისერი აქვს, მოჭიდავე იქნება ნამდვილად, გაიზრდებიან და ესენიააშენებენ ახალ ქვეყანას.

— ღმერთმა გისმინოს.

— პატარა ბიჭი ღიმილით შეჰყურებდა სათნო მოხუცს და ხელებს ზეცისაკენ იშვერდა.

სწორედ ეს ზეცა ახადეს ლხინში ნათლობისას ომიდან ჩამოსულმა სანდრომ, წილკნელმა და ალაიანელმა ძმობილებმა.

**ვალერიან მამუკელაშვილი**



## ლიუის — რახმანის მატჩ-რევანში შეიძლება 18 აგვისტოს შედგეს

პროფესიონალ მოკრივეთა შორის მძიმე წონაში უკვე ყოფილი ჩემპიონის ლენოქს ლიუისის მენეჯერმა განაცხადა, რომ ტელეარხთან, რომელსაც შესყიდული აქვს ორთაბრძოლების ჩვენების უფლება, მიღწეულია შეთანხმება რასიმ ხასიმ ხასიმთან მატჩ-რევანშის თაობაზე. ხელახლა პაექრობა ამ ორ პროფესიონალ მოკრივეს შორის, სავარაუდოდ 18 აგვისტოსთვის იგეგმება. ლიუისისა და რახმანის კონტრაქტში მითითებული ყოფილა შესაძლო განმეორებითი შეხვედრის ჩატარების პუნქტი. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააღრმავა მათი ეჭვები, ვინც ფიქრობს, რომ მეტოქეებმა, კომერციული მოსაზრებით, პირველი შეხვედრის შედეგი შეთანხმებით დაგეგმეს.

ამასობაში ლიუისი აცხადებს, რომ ყველაფერში დამნაშავეა პრომოუტერი როდნი ბერმანი, რომელმაც მას ფაქტობრივად სამხრეთ აფრიკის მასმედიაში ანტირეკლამა გაუწია. ამასთან, იგი ცხოვრობდა 4 ვარსკვლავიან სასტუმროში, როცა რახმანი 5 ვარსკვლავიანში დაბინავდა.

ლიუისის მწვრთნელი ფრენკ მელოუნი კი შეშფოთებულია თავისი შეგირდის სენსაციური მარცხით და აცხადებს, რომ თუ უახლოეს ხანში მატჩ-რევანში არ შედგა, ლიუისისთვის შეიძლება ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრდეს, ჩრდილში მოექცეს და დაკარგოს საკუთარი ძალების რწმენა. „ის დღესაც წაგებით გამოწვეულ შოკშია და არ სურს დაიჯეროს, რომ დამარცხდა“ — აცხადებს მელოუნი. მას შემდეგ, რაც ტაისონმა სურვილი გამოთქვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა დაიწყოს და უკვე ივლისში სავარაუდო მეტოქედ რახმანი დაასახელა და მასთან შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა, ლიუისი მთლად გადაირია. „არა და არა, რახმანი ვალდებულია ჯერ მე შემხვდეს მარტჩ-რევანში“ — აცხადებს ტიტულჩამორთმეული ლიუისი. რახმანი კი ცეცხლზე ნავთს ასხამს და ქედმაღლურად გაიძახის, რომ მას ტაისონთან შეხვედრა უფრო ეჩქარება.



მოკლედ, ინტრიგა, როგორც იტყვიან, თავსაყრელია.

## რახმანი ოჯახით ავარიაში მოყვა

მერილენდის შტატის ქ. ბალტიმორის მუნიციპალიტეტში მძიმე წონაში მსოფლიოს ახალი ჩემპიონის, პროფესიონალი მოკრივის რახმანის საპატივცემულოდ 2500 კაციანი საზეიმო შეხვედრის შემდეგ, ოჯახის წევრებთან ერთად სატელევიზიო სტუდიისკენ მიმავალ რახმანს ავტოავარია შეემთხვა. ბავშვები არ დაშავებულან. რახმანს წარბი გაუსკდა, ცოლი კი ტვინის შერყევის ეჭვით საავადმყოფოში დატოვეს.

## ფორმულა-1 ახალი ასწლიანი კონტრაქტით კვლავ შენარჩუნებულია

პარიზში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) 309 მილიონი დოლარის საფასურად 100 წლით კვლავ გაუგრძელა ფორმულა 1-ის შეჯიბრებების ჩატარების უფლება კონცერნ სლეკს (SLEC), რომელსაც ოფიციალურად კონტრაქტის ვადა 2010 წელს ეწურებოდა. ეს პროცესი დააჩქარა ფორმულა 1-ის ჩატარების კომერციული უფლების მოპოვების სხვა მსურველთა გამოჩენამ. ფედერაციამ მხარი დაუჭირა გერმანელ მედია-მაგნატს ლეო კირხს, რომლის კონცერსაც აქამდე ეკუთვნოდა ფორმულა 1. ოღონდ, ახალ კონტრაქტში ჩაიდო ახალი პირობა — შვილობილმა ტელეკომპანიაში, რომელიც ამ კონცერნს ეკუთვნის, საზოგადოებრივიდან ფასიან არხზე არ უნდა გადაიტანოს ფორმულა 1-ის შეჯიბრებების ჩვენება, როგორც ეს განზრახული ჰქონდა. დავძენთ, რომ ამ ასპარეზობებს 500 მილიონი მაყურებელი ადევნებს თვალს ტელეეკრანზე, ეტაპები კი ყოველ ორ კვირაში ერთხელ იმართება წელიწადში 9 თვის განმავლობაში.

## ჟოკერი: „მიხაელი რბოლების ფენომენი“

მოიპოვა რა თავისი პირველი გამარჯვება რალფ შუმახერმა, დაამტკიცა, რომ იგი 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონის კანდიდატია. ITV-ეს კომენტატორმა მიურეი უოკერმა, შეკითხვაზე „გახდება თუ არა რალფი ძმის მსგავსად საუკეთესო პილოტი“ — უპასუხა: „მიხაელ შუმახერისნაირი მრბოლი ჯერ არ დაბადებულა, მე იგი ყველა დროის საუკეთესო პილოტად მიმაჩნია. რაც შეეხება შუმახერის უმცროს ძმას, ისიც ნიჭიერია და ეს რალფმა არაერთ რბოლაში დაამტკიცა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მიხაელი წამსვლელია, რალფს კი წლები წინ აქვს, ის ვერასოდეს მოიპოვებს იმდენ ტიტულს, რაც მიხაელმა მოიხვეჭა.

## დაიღუპა მიკელე ალბორეტო



80-იანი წლების „ფორმულა 1“-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მრბოლი მიკელე ალბორეტო, გუშინ, გერმანიის ავტოდრომ ლიუსიტცში ავარიაში მოჰყვა და გარდაიცვალა. იგი ერთ-ერთ ბოლიდს ტესტს უტარებდა. 44 წლის ალბორეტო „ფორმულა 1“-ში 14 წელიწადია გამოდის. მას მოპოვებული აქვს „გრან-პრი“.

## „მილუოკი“ მიზანთან ახლოსაა

ნბა

გუშინ, ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი-ოფების კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. შეგახსენებთ, ამ ეტაპზე გუნდები სამ მოგებამდე თამაშობენ: მილუოკი — ორლანდო 103:96 (სერიის ანგარიში 2-0), საკრამენტო — ფინიკსი 116:90 (1-1).

**სხვა შეხვედრები:** **ფილადელფია** — **ინდიანა** 1:1 (პირველი შეხვედრა 78:79, ხოლო მეორე 116:98), **მაიამი** — **შარლოტი** 0-2 (80:106 და 76:102). **სან ანტონიო** — **მინესოტა** 2-0 (87:82 და 86:69), **იუტა** — **დალასი** 2-0 88:86 და 109:98), **ლეიკერსი** — **პორტლენდი** 1:0 (106:93), **ნიუ-იორკი** — **ტორონტო** 1:0 (92:85).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

## სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტში

### ფეხბურთელები დასაჯეს, მწვრთნელები გააფრთხილეს

სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გარდა ფეხბურთელებისა, მწვრთნელთა ქცევის წესების დარღვევაც განიხილეს. თითო მატჩს გამოტოვებენ და 50-ლარიან ჯარიმას გადაიხდიან — მიხეილ მესხი (თსუ), გრიგოლ კირკიტაძე („გურია"), როინ ონიანი („ლოკომოტივი"), არჩილ სახვაძე და სოსო გრიშიკაშვილი (ორივე — თბილისის „დინამო"). „დინამოს" მეკარის „ლოკომოტივი" — „დინამოს" მატჩში ჩადენილი უმსგავსო საქციელი შეხვედრის არბიტრს გამორჩა, სადიციპლინო კომიტეტს — არა და გრიშიკაშვილი ერთი მატჩით დაისვენებს. ცხინვალელმა თამაზ ციცქიშვილმა და წყალტუბოელმა ოთარ ვარდანიძემ ორ-ორი მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 100-100 ლარიანი ჯარიმა მიიღეს. ზედმეტი ნერვიულობისათვის და თბილისის „დინამოსა" და „ტორპედოს" მატჩში ტექნიკური ზონის დარღვევისათვის „ტორპედოს" ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი და სტუდენტთა თავკაცი მერაბ კოჭლაშვილი თსუ — „სიონის" მატჩში არაეთიკური საქციელისთვის გააფრთხილეს.

რამდენიმე საკითხს დაწვრილებით შეისწავლიან და შემდეგ განიხილავენ.

**საბა ლომინაძე**

### ლანჩხუთში მომხდარი ინციდენტი დელეგატის შეფასებით

**მალხაზ კოზიაშვილი** — სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის საექსპერტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: „გურია-ლოკომოტივი2"-ისა და წნორის „მილანის" მატჩის დელეგატი ვიყავი. გამაოცა მატჩში მომხდარი ინციდენტის ცალმხრივმა შეფასებამ „მილანის" მენეჯერის მარიამ ფირცხალაიშვილის მიერ, რაც პრესითაც და ტელევიზიითაც გავრცელდა. მსაჯის მოქმედებას დადებითად ვაფასებ, ავთანდილ შალამბერიძემ გინებისთვის სამართლიანად გააძევა „მილანის" ფეხბურთელი გამცემლიძე, რომელმაც განაწყენებულმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მთავარ არბიტრს, მატჩი 5 წუთით შეჩერდა. ერთ მხარეს თუ ვუსმენთ, მეორესაც მოვუსმინოთ. „მილანის" კლუბის ხელმძღვანელობამ უმჯობესია მსაჯების გაუმართლებელი კრიტიკისაგან თავი შეიკავოს და გუნდში დისციპლინის განმტკიცებას მიაქციოს ყურადღება. მსაჯებზე შეტევას და სხვის უმართებულოდ დადანაშაულებას სჯობს საქმეს მიხედონ.

# საქართველო — ისრაელი 3–2

**24 აპრილი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.**

**საქართველო:** ლომაია, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი (ჭანკოტაძე, 63), ქემოკლიძე, გახოკიძე (ასათიანი, 67), ა. არველაძე (მელქაძე 89), ქეცბაია, ქინქლაძე (ალექსიძე, 46), შ. არველაძე.

**ისრაელი:** ელი მელეხი, ხარაზი (შელახი, 79), ზიტონი, ბრომერი (ბენადო, 46), გერსონი, ადორამი, ბადეერი, კატანი (დაიანი, 46), ბენ იუნი, რევივო, მიზრახი (ბენ ამი, 79).

**გოლები:** 1-0 ქეცბაია (8), 1-1 მიზრახი (15), 2-1 ქეცბაია (35), 2-2 მიზრახი (72), 3-2 ა. არველაძე (88).

**გააფრთხილეს:** ბადირი, ბენ ამი, სილაგაძე, რევივო.

**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (საქართველო).

## ქეცბაია წინამძღოლი

როგორი სკეპტიკური განწყობილებაც არ უნდა გვქონდეს ეროვნული ნაკრებისადმი და გულშემატკივრებში გარკვეული იმედგაცრუებაც სუფევდეს, იმედის ნაპერწკალი ყოველთვის არის, ეგ არის მხოლოდ გაღვივება არ ელირსა და ჩვენც იძულებულები ვართ ლოკალური წარმატებებით გავიხაროთ. ასე იყო საქართველოსა და ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან გუშინწინანდელ შეხვედრაში. ქართველთა გუნდმა ებრაელებთან პაექრობაში სწორედ ის თვისება გამოავლინა, რომელიც ასე აკლდა რუმინელებთან მატჩში. ნაკრებმა ბოლომდე იბრძოლა და გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს გაიტანა. სადავო არ არის რუმინეთი ისრაელზე ბევრად ძლიერია, თანაც ის ოფიციალური მატჩი იყო, ეს კი ამხანაგური, მაგრამ გარკვეული შედარების უფლება მაინც გვაქვს.

გამარჯვებას უპირველესად ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, გუნდს უძლურობისა და დამარცხებულის კომპლექსი უნდა მოუხსნას და იტალიელებთან და უნგრელებთან უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტი მატჩებისთვის ოპტიმისტურად განაწყოს. დიახ, იყო ხარვეზებიც, განსაკუთრებით დაცვისა და ნახევარდაცვის თამაშში, რაც პრესკონფერენციაზე ნაკრების მწვრთნელებმაც აღნიშნეს. მაგრამ იყო ასევე გააზრებული შეტევები, ლამაზი გოლები და უმთავრესი, გუნდს ჰყავდა წინამძღოლი, ლიდერი, ფეხბურთელი, რომელმაც გამოცდილ თანაგუნდელებს და ახალგაზრდა დებიუტანტებსაც მისცა შემართების ის მაგალითი, რომელმაც გუნდი გამარჯვებამდე მიიყვანა.

თემურ ქეცბაიაზე ორივე გოლი



მალხაზ ზიმშვილის ფოტოები.





ალალი იყო, რადგან მისი და პარტნიორების ოსტატობის შედეგი იყო, მესამე მომგებიანი შეტევაც ხომ კაპიტანმა წამოიწყო და ძმებმა არველაძეებმა მის გამჭრიახობას ლოგიკური გაგრძელება და დასასრული მოუძებნეს.

საქართველოს ნაკრებმა წლეულს პირველად მოიგო. იქცევა ეს შეხვედრა სიკეთისკენ შემობრუნების მანიშნებლად,

### ამხანაგური მატჩი

ამას ერთ თვეში ვნახავთ. ერთი კია, ნაკრებს შესწევს იმის ძალა, გაცილებით უკეთ ითამაშოს და არამარტო ამხანაგურ მატჩში. ვიმედოვნებთ, შესარჩევ მატჩებამდე მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს შორის არსებული კონფლიქტიც მოგვარდება, გარკვეული კომპრომისიც გამოინახება და მთავარ მატჩებს ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც ერთიანი, შეთანხმებული ქმედებით გაწონასწორებულები შეხვდებიან. ნაკრებში კი მართლაც ღირსეული და კონკრეტული მატჩისთვის უკეთ მომზადებული ფეხბურთელი ითამაშებს. ქართველი გულშემატკივარი კი დასამახსოვრებელი გამარჯვებით გაიხარებს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## 27 მაისს, ნეიტრალურ მინდორზე

XII ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტის III თავის 3.2. პუნქტის შესაბამისად ...უმაღლეს ლიგაში XI-XII ადგილზე გასული გუნდები გადაყვანილი იქნებიან I ლიგაში, ხოლო X ადგილზე გასული გუნდი ნეიტრალურ მინდორზე (1 მატჩი) შეხვდება I ლიგაში მესამე ადგილზე გასულ გუნდს, გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს. სფფ-მ დაადგინა ამ მატჩის გამართვის თარიღი — 27 მაისი, სამშაბათი. სტადიონი კი მოგვიანებით გაირკვევა.

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა II ეტაპი • VI ტური

**მიმოხილვა. ანონსი**

მეორე ეტაპის, მეორე წრე დღეს დაიწყება თბილისში, ბათუმსა და ბოლნისში. ლიგაში დამრჩენთა ორთაბრძოლებში გამორჩეულ ინტერესს ბოლნისის მატჩი იწვევს. მიზეზი კარგად ცნობილია. პირველ წრეში რუსთავში ორი ბურთით დაწინაურებული „სიონი", საბოლოოდ დამარცხდა, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. სფფ-ს საგანგებო კომიტეტმა გარიგებისათვის და სამართლიანი თამაშის პრინციპების უგულვებელყოფისათვის ორივე კლუბი სამ-სამი ქულის ჩამოკლებით დასაჯა. რა მოხდება ამჯერად? ჩაივლის კი ეს მატჩი სპორტული პრინციპის დაცვით? ვნახოთ! დარჩენილ ორ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობის დადგენა ძნელი არ უნდა იყოს.

**VII-XII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 5 | 2 | 2 | 1 | 6-2 | 22 |
| გორდა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 18 |
| სიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 18 |
| დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-5 | 16 |
| თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 16 |
| იბერია | 5 | 0 | 1 | 4 | 4-16 | 3 |

**I-VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 34 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 33 |
| დინამო (თბ) | 5 | 1 | 4 | 0 | 7-6 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 26 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 22 |
| მერანი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-4 | 18 |

ოქროს მედლებისა და უეფას ტურნირების საგზურების მაძიებელთა შერკინებები ხვალ გაიმართება. უდიდეს ინტერესს იწვევს მატჩი ქუთაისში. დაწინაურებული ჩემპიონი „ტორპედო" უშუალო კონკურენტს თბილისის „დინამოს" უმასპინძლებს. ამ შეხვედრამ შეიძლება ბევრი რამ განსაზღვროს ჩემპიონის გამოვლენისათვის. ასე რომ, მატჩი დაძაბული და ორივე გუნდისთვის რთული იქნება. სფფ-ს საგანგებო კომიტეტის მიერ შერისხვის პირას მდგომი გუნდები, „მერანი" ჩამოქვეითებულ „ლოკომოტივს" მიიღებს. ეს მატჩი სათასო შეხვედრის ერთგვარი რეპუტაციაა და ორივე გუნდი შეეცდება მეტოქე თავის შესაძლებლობებსა და უპირატესობაში დაარწმუნოს. ფოთის „კოლხეთი" კი მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" ეწვევა და ალბათ შეეცდება ყველა დაარწმუნოს, რომ გასვლით შეხვედრებს შემთხვევით არ იგებს.

მოკლედ, ფინიშის მოახლოებასთან ერთად, ჩემპიონატის ინტრიგა უფრო გაიზრდება. ვითარება კი დაიძაბება.

## მსაჯები, ინსპექტორები

**უმაღლესი ლიგა VI ტური**

**იბერია — თსუ** — მთავარი მსაჯი — მ. მაისურაძე, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — რ. ჩილაჩავა.

**დინამო (ბთ) — დილა** — მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — ლ. ყიფიანი

**სიონი — გორდა** — მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — სილაგავა, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — კრიჰაშვილი, ინსპექტორი — ზ. პეტრიაშვილი.

**ვიტ ჯორჯია — კოლხეთი1913** — მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები — ელიკაშვილი, ჩოჩიშვილი, მეოთხე მსაჯი — მესხი, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

**მერანი91 — ლოკომოტივი** — მთავარი მსაჯი — ა. კრიჰაშვილი, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.

**ტორპედო — დინამო (თბ)** — მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — დოლიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

**პირველი ლიგა, V ტური**

**მილანი (წნ) — სამგურალი** — მთავარი მსაჯი — კ. მესხი, ასისტენტები — ბუიშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — ბ. სიჭინავა.

**ცხინვალი — გურია-ლოკ2** — მთავარი მსაჯი — პ. დოგრაშვილი, ასისტენტები — ხეცაძე, ნონიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — მეშკოვი, ინსპექტორი — ჯ. გაბისონია.

**მეტალურგი — შუქურა** — მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — შილაკაძე, ინსპექტორი — ბ. მჭედლიშვილი.

**თბილისი — ოკეანე** — მთავარი მსაჯი — ზ. ანიაშვილი, ასისტენტები — რაზმაძე, ელისაბედაშვილი, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე, ინსპექტორი — ვ. ელოშვილი.

**იმერია — თორი** — მთავარი მსაჯი — გ. კიკაჩეიშვილი, ასისტენტები — აფციაური, თბილელი, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — მ. არზიანი.

## ვიქტორ ბანიკოვის ხსოვნას

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 63 წლისა გარდაიცვალა სახელგანთქმული უკრაინელი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, უკრაინის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ვიქტორ ბანიკოვი. იგი სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან, სამოცდაათიანის დასაწყისში წარმატებით იცავდა კიევის „დინამოს" კარს, იყო სსრ კავშირის 1967 და 1968 წლის ჩემპიონი და 1964, 1966 და 1972 წლების საკავშირო თასის მფლობელი. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ, მაინც ფეხბურთში დარჩა, როგორც უკრაინის დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი 1991-96 წლებში, ხოლო 1996 წლიდან მუშაობდა პირველ ვიცე-პრეზიდენტად. 2000 წელს იგი დაჯილდოვდა უეფას ლალის ორდენით „დამსახურებისათვის".

ვიქტორ ბანიკოვის სახელი საქართველოშიც კარგადაა ცნობილი, ჯერ კიდევ მინდორზე მისი გამოსვლები მაღალ ოსტატობასთან ერთად მისი კეთილგანწყობილება მეტოქე გუნდის მიმართ ხიბლავდა მაყურებელს რაინდული ქცევითა და მაღალი სპორტული კულტურით. ამ თვისებების გამო იყო იგი პოპულარული ჩვენში. აქვე რა თქმა უნდა, გასახსენებელია 1964 წლის საკავშირო ჩემპიონატი, კერძოდ, მის ფინიშზე შექმნილი სატურნირო დაძაბულობა, როცა ერთმანეთს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ლიდერები — თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო" და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ გოლს, ქულას.

კიევის „დინამოსათვის", რომლის კარში იგი იდგა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მოსკოვში ტორპედოელებთან მატჩის შედეგს, ავტოქარხნელთა გამარჯვება კი მათ ულაპარაკოდ უხსნიდა გზას ოქროს მედლებისაკენ. ისინი მიზანთან ძალზე ახლოსაც იყვნენ, როცა კიეველთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. ვ. ბანიკოვმა ნამდვილი სპორტული ქინი გამოიჩინა და მოიგერია პენალტი, შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1-1. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თბილისის „დინამომ" ტორპედოელებთან თანაბარი ქულები დააგროვა, რამაც მას მოსკოველებთან დამატებითი მატჩის უფლება მოუტანა ჩემპიონის გამოსავლენად. რა შედეგი მოჰყვა ტაშკენტის მატჩს „ტორპედოსთან" ყველამ კარგად იცის — „დინამო" ჩემპიონი გახდა.

ვ. ბანიკოვს ახალ უბანზეც — ფეხბურთის ფედერაციაში მოღვაწეობისაც საქმიანი, კეთილგანწყობილება ჰქონდა ქართველ კოლეგებთან ურთიერთობაში, მას გულთან ახლოს მიჰქონდა ჩვენი პრობლემები, არაერთგზის დაგვხმარებია მის მოგვარებაში.

ამიტომ ვიზიარებთ იმ მძიმე დანაკლისს, რაც მისი ამ ქვეყნიდან წასვლით განიცადა უკრაინის საფეხბურთო საზოგადოებრიობამ.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## სამხრეთ ამერიკა

5 მატჩში აღინიშნა მოულოდნელი შედეგები, ბრაზილიის ნაკრებმა ვერ შეძლო საკუთარ მოედანზე პერუს ნაკრების ძლევა. მატჩი დამთავრდა ფრედ. ასევე ვერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება არგენტინისა (ბოლივიასთან შეხვედრაში) და კოლუმბიის (ვენესუელასთან) ნაკრებებმა. ხოლო ეკვადორის ნაკრებმა ცხრა კაცით სძლია პარაგვაის ძლიერ ნაკრებს.

**ვენესუელა — კოლუმბია 2:2**
1:0 რონდონი (22), 2-0 არანგო (82), 2-1 ბედოია (83), 2-2 ბონილია (88)

**ეკვადორი — პარაგვაი 2-1**
0-1 კარდოსო (27), 1-1 დელგადო (45), 2-1 დელგადო (53)

**ჩილე — ურუგვაი 0-1**
დიასი (12 საკ. კარში)

**ბოლივია — არგენტინა 3-3**
1-0 პასი (41), 1-1 კრესპო (44), 2-1 კოლკე (55), 3-1 ბოტერო (81), 3-2 კრესპო (84), 3-3 სორინი (90)

**ბრაზილია — პერუ 1-1**
1-0 რომარიო (66), 1-1 პახუელო (79)

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 12 | 9 | 2 | 1 | 30-11 | 29 |
| პარაგვაი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-11 | 23 |
| ეკვადორი | 12 | 7 | 1 | 4 | 15-15 | 22 |
| ბრაზილია | 12 | 6 | 3 | 3 | 22-11 | 21 |
| კოლუმბია | 12 | 5 | 4 | 3 | 12-9 | 19 |
| ურუგვაი | 12 | 5 | 3 | 4 | 13-8 | 18 |
| პერუ | 12 | 3 | 3 | 6 | 11-15 | 12 |
| ჩილე | 12 | 3 | 1 | 8 | 12-17 | 10 |
| ბოლივია | 12 | 2 | 4 | 6 | 8-19 | 10 |
| ვენესუელა | 12 | 1 | 1 | 10 | 8-35 | 4 |

## კონკაკაფი

აღსანიშნავია მსოფლიო ჩემპიონატის მრავალგზის მონაწილის, მექსიკის ნაკრების ფრე ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებთან.

**ტრინიდადი და ტობაგო — მექსიკა 1-1**
1-0 ენდრიუსი (14), 1-1 პარდო (61)

**აშშ — კოსტა რიკა 1-0**
ვოლფი (70)

**იამაიკა — ჰონდურასი 1-1**
1-0 გარდნერი (56), 1-1 კაბალერო (80)

**აშშ — 9 ქულა; კოსტა-რიკა — 4; მექსიკა — 4; იამაიკა — 4; ჰონდურასი — 2; ტრინიდადი და ტობაგო — 1.**

## ბირჰოფი ქორწინდება

გერმანიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების წევრმა ოლივერ ბირჰოფმა გადაწყვიტა 23 ივნისს თავისი მრავალწლიანი ურთიერთობა მეგობარ ქალთან კლარა სალანცთან დააკანონოს. 32 წლის ფეხბურთელის და მიუნხენელი ექიმის ქალიშვილის ქორწინება უძველეს ციხე-სიმაგრეში გაიმართება ზემო ბავარიის ქალაქ ალტეტინგში. ქორწილისთვის მზადება გასაიდუმლოებულია. იუწყებიან, რომ ამ წყვილმა 350 საქორწინო მოსაწვევი უკვე დაუგზავნეს ახლობლებს.

# შესარჩევი ტურნირი

## ევროპა

### I ჯგუფი

**იუგოსლავია — რუსეთი 0-1**
ბესჩასტნიხი (72)

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 7-1 | 13 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 2 | 1 | 13-5 | 8 |
| სლოვენია | 5 | 1 | 4 | 0 | 8-7 | 7 |
| იუგოსლავია | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| ფარერები | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

### II ჯგუფი

**ჰოლანდია — კვიპროსი 4-0**
ჰასელბაინკი (29), ოვერპარსი (35), კლუივერტი (44), ვან ნისტელროოი (82)

**ირლანდია — ანდორა 3-1**
0-1 ლიმა (33), 1-1 კილბეინი (34), 2-1 კინსელა (36), 3-1 ბრინი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| ჰოლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 17-6 | 11 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 2 | 0 | 11-4 | 11 |
| კვიპროსი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-16 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4-25 | 0 |

### III ჯგუფი

**მალტა — ისლანდია 1-4**
1-0 მიფსუდი (14), 1-1 გუდმუნდსონი (42), 1-2 სიგურდსონი (45), 1-3 გუდენსენი (83), 1-4 გუდენსონი (90)



ბესჩასტნიხს (17) თანაგუნდელები გოლს ულოცავენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-0 | 11 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| დანია | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 9 |
| ისლანდია | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 9 |
| ჩრ. ირლანდ. | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 1-13 | 1 |

### VI ჯგუფი

**ლატვია — სან-მარინო 1-1**
1-0 პახარსი (1), 1-1 ალბანი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 0 | 16-3 | 8 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-10 | 4 |
| სან-მარინო | 5 | 0 | 1 | 4 | 2-18 | 1 |

### VII ჯგუფი

**ავსტრია — ლიხტენშტეინი 2-0**
გლიდერი (43), ფლოგელი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 |
| ისრაელი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| ლიხტენშტ. | 5 | 0 | 0 | 5 | 0-13 | 0 |

## საერთაშორისო ამხანაგური მატჩები

ნორვეგია — ბულგარეთი 2-1
უნგრეთი — ფინეთი 0-0
საფრანგეთი — პორტუგალია 4-0
იტალია — სამხ. აფრიკა 1-0
ჩეხეთი — ბელგია 1-1
ლიბია — ფილიპინები 3-0
დანია — სლოვენი. 3-0
მოლდოვა — ესტონეთი 0-0
რუმინეთი — სლოვაკეთი 0-0
ხორვატია — საბერძნეთი 2-2
შვეიცარია — შვედეთი 0-2
პოლონეთი — შოტლანდია 1-1
თურქეთი — ალბანეთი 0-2



რომარიო.



ეს კაცი, ნიგერიის ეროვნული ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელი იო ბონფრერი, გუშინ დაითხოვეს პოსტიდან. მიზეზი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ამ ქვეყნის ფეხბურთელთა წარუმატებლობა გახდა.

## პეტერ შმაიხელი მიდის

დანიის ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მეკარე პეტერ შმაიხელმა უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ნაკრების შემადგენლობაში. დანიის ნაკრებმა 3-0 სძლია სლოვენიის ნაკრებს. შმაიხელმა 129 მატჩში დაიცვა ნაკრების ღირსება. 65-ე წუთზე იგი შეცვალეს და მთელი სტადიონი ფეხზე ამდგარი აცილებდა გამოცდილ მეკარეს. „ეს იყო ლამაზი გამოსათხოვარი შეხვედრა", აღნიშნა შმაიხელმა და დასანანი იქნებოდა, რომ წაგვეგო". აღსანიშნავია, რომ 14 წლის წინათ, როცა შმაიხელმა პირველად ჩაიცვა დანიის ნაკრების მაისური, იმ შეხვედრაშიც დანიის ნაკრებმა იმარჯვა, დიდი ანგარიშით 5-0 სძლია საბერძნეთის ნაკრებს.

დიდი მეკარე, რომლის გარეშეც დანიის ნაკრები ვერ გახდებოდა 1992 წლის ევროპის ჩემპიონი დღეს ლისაბონის „სპორტინგში" თამაშობს.



ბირჰოფი.



## ხდება, ყველაფერი ხდება...

### „იფსვიჩის" ფანატი შემოსავალს ითვლის

„იფსვიჩის" ფანატმა, რომლის გვარი ჯერ უცნობია, შეიძლება 62.500 ფუნტი მიიღოს თუ მისი სათაყვანებელი კლუბი პრემიერ-ლიგის ჩემპიონატში მესამე ადგილს შეინარჩუნებს. სეზონის წინ 250 ფუნტი ჩაუდვია „იფსვიჩის" მესამე ადგილზე გასვლის ვარაუდით, მაშინ ეს წარმოუდგენლად მიაჩნდათ და კოეფიციენტი გაიზარდა. კიდევ 6.250 ფუნტს ეს ფანატი მიიღებს თუ „იფსვიჩის" ფორვარდი მარტინ სტიუარტი ჩემპიონატის ბომბარდირი გახდება, გარდა ამისა 1000 ფუნტი ჩადო იმ იმედით, რომ სტიუარტი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში (იაპონია, კორეა) მეტოქის კარში გოლს გაიტანს. თუ ეს ახდა, იგი დამატებით 25 000 ფუნტს მიიღებს.

### ვიეტნამში ფეხბურთელი პასიური თამაშისთვის დასაჯეს

**ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ უცნაური განაჩენი გამოუტანა ერთ-ერთი ადგილობრივი გუნდის კაპიტანს ვუ მინ ხიუს. ფედერაციის წარმომადგენლებს მოეჩვენათ, რომ ეს ფეხბურთელი სპეციალურად პასიურობდა, არ დარბოდა, რათა მეტოქისთვის თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა. როგორც ცნობილია, ვიეტნამი ჩაწყობილმა მატჩებმა მოიცვა და ფედერაციის მოხელეებში ფეხბურთელთა პასიურობა ეჭვს ბადებს. მოკლედ, კაპიტანს 3 თამაშით დისკვალიფიკაცია გამოუტანეს. თავად ეს ფეხბურთელი თამაშში თავის პასიურობას ცხელი ამინდით ხსნის და პროტესტის ნიშნად ფეხბურთის თავის განებებას აპირებს და პოლიციაში თავის საქმეს სურს დაუბრუნდეს.**

### მსაჯი ატირდა და... მატჩი შეწყვიტა

ბრიტანეთში, როგორც ცნობილია, ყველა თამაშობს და ფეხბურთს მსაჯობენ კიდეც. ინგლისის პროვინციის უბრალო ფერმერი ქალაქების ეშ ვინიდისა და პენტრიტის მატჩს მსაჯობდა. ადგილობრივ გულშემატკივრებს მსაჯის რაღაც არ მოეწონათ და გინება დაუწყს, ის საბრალო კი გულამოსკვნით ატირდა, მატჩი შეაჩერა და გასახდელში გაიქცა. შემცვლელი მსაჯი რაკი არ აღმოჩნდა, თამაში არ დამთავრებულა. ცხადია, მატჩი განმეორებით ჩატარდება, მასპინძელი გუნდის სტადიონი კი დაჯარიმდება.

### ფეხბურთელი გააძევეს... ტელეფონით საუბრისთვის

**ეს ამბავი კი რუმინეთში მოხდა. მესამე ლიგის საფეხბურთო მატჩის დროს, როცა ერთმანეთს ხვდებოდა „ლოკომოტივ ბიზაუ" და „ვიქტორია ვალეა რამნიცულუი", ერთ-ერთი ფეხბურთელი ტელეფონზე გამოიძახეს. ეს ფეხბურთელიც ადგა და მოედნიდან გავიდა, მთელი 5 წუთი ლაპარაკობდა თავისი მობილურით. გაირკვა, რომ ფეხბურთელს კლიენტმა დაურეკა, რომელსაც მისი ბატკნის შეძენა სურდა. გარიგების შემდეგ, ფეხბურთელი კვლავ დაბრუნდა მინდორზე, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მსაჯმა მას წითელი ბარათი აჩვენა.**

**„ჩვენ რომ მეტ ფულს გვიხდიდნენ, საჭირო აღარ იქნებოდა მატჩის დროს ასეთ სისულელეებზე ფიქრი. რაკი არ გვიხდიან, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან ფულის გამომუშავებაში" — განაცხადა დასჯილმა ფეხბურთელმა.**

**არ გაინტერესებთ სასჯელი? „კომერსანტი" ფეხბურთელი ზუსტად იმ თანხით დაჯარიმდა, რამდენიც მობილურით გაყიდულ ბატკანში მიიღო.**

# უეფას თასი — ფინალისტები

## ეს გასაოცარი „ალავესი“

**16 მაისს ნეიტრალურ მინდორზე (დორტმუნდში) გაიმართება უეფას თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან „ლივერპული“ და პატარა ესპანური ქალაქის ვიტორიას კლუბი „ალავესი“. თუ „ლივერპულის“ მიღწევები ფართოდ არის ცნობილი, „ალავესი“ საერთაშორისო ასპარეზზე, ფაქტობრივად, ახალბედაა.**

„ალავესის“ ბოლოდროინდელმა წარმატებებმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ჯერ კიდევ 1990 წელს იგი ესპანეთის მეოთხე დივიზიონში გამოდიოდა. 1995 წელს მეორე დივიზიონამდე მიაღწია. 1998 წელს მწვრთნელ ხოსე მანუელ ესნალის ხელმძღვანელობით (უფრო მანუს სახელით არის ცნობილი), პირველ დივიზიონში გადავიდა.

იქ „ალავესს“ ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მე-16 ადგილის დაკავებით მაინც შეძლო „პრემიერა-დივიზიონში“ ადგილის შენარჩუნება. 1999-2000 წლების სეზონში „ალავესი“ უკვე საკმაოდ მომაგრდა. მან ყველა გააოცა მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე „რეალის“ დამარცხებით და „ბარსელონასთან“ მოგებით „ნოუ კამპზე“. საბოლოოდ „ალავესმა“ ესპანეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა და უეფას თასზე თამაშის უფლება მიიღო.

შეიძლება, გულშემატკივრებმა ჯეროვანი ყურადღებაც კი არ მიაქციეს „ალავესის“ პირველ წარმატებებს უეფას თასზე, როცა მან ჯერ თურქულ „გაზიანტეპსპორს“ სძლია, შემდეგ კი „ლილიენსტრემსა“ (ნორვეგია) და „რუსენბორგს“. აი, მერვედფინალში კი, ბასკებს გარდაუვალ დამარცხებას უწინასწარმეტყველებდნენ. აქ მისი მეტოქე იყო მილანის სახელგანთქმული „ინტერი“. რა უნდა გაეწყოთ ახალბედებს ასეთ უძლიერეს მეტოქესთან?

პირველ მატჩში ქ. ვიტორიაში მასპინძლები აგებდნენ ანგარიშით 1-3, მაგრამ მაინც მიაღწიეს ფრეს — 3-3. დიდად მოულოდნელი იყო მატჩის შედეგი მილანის „სან-სიროზე“, როცა „ალავესმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 2-0. გაოცებულმა და მეტად გაღიზიანებულმა ტიფოზებმა სტადიონზე და მის მიმდებარე ადგილებში დიდი არეულობა მოაწყვეს, მაგრამ დამარცხებულ „ინტერს“ რაღა ეშველებოდა.

მეოთხედფინალში „ალავესის“ მეტოქე მადრიდის კლუბი „რაიო ვალეკანო“ იყო. მისი დამარცხება ბასკებს არ გასჭირვებიათ. ნახევარფინალში ისინი დაუპირისპირდნენ „კაიზერსლაუტერნს“, რომელსაც დიდი ამბიციები, კერძოდ, კი გერმანიის ჩემპიონობის პრეტენზია ჰქონდა. შედეგმა — 5-1 ვიტორიაში და 4-1 კაიზერსლაუტერნში საყოველთაო გაოცება გამოიწვია.

მოვუსმინოთ იოჰან კრუიფის ვაჟს, ჰორდი კრუიფს, რომელიც პირველი წელია, რაც „ალავესში“ გამოდის.

— არავის სჯეროდა, რომ „ალავესი“ ასე შორს წაიწევდა. რამდენიმე თვის წინათ უეფას თასის ფინალში გასვლაზე ოცნებას ცოდვადაც კი გვითვლიდნენ.

როგორც ჰორდი კრუიფი თვლის, „ალავესის“ წარმატების საიდუმლოება მის ნამდვილ ბასკურ შეუპოვრობაში უნდა ვეძებოთ. „არ შემიძლია სხვა კლუბის დასახელება, რომელსაც შეეძლოს ჩვენნაირი შეუპოვრობით თამაში“.

„ალავესის“ პრეზიდენტი გონსალო ანტონი აცხადებს, რომ მისი გუნდის წარმატება ერთ რამეს ამტკიცებს — მცირე კლუბებსაც შეუძლიათ დიდი გამარჯვების მოპოვება.

ახლა „ალავესი“ ოპტიმიზმით გაიმსჭვალა ისეთ მეტოქესთან შეხვედრის წინ, როგორიც სახელგანთქმული „ლივერპულია“.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მეოთხე „საპატიო კაპიტანი“


ლოთარ მათეუსი.

„ნაკრების საპატიო კაპიტანი“ — ამ წოდებას გერმანიაში განსაკუთრებით გამორჩეულ ფეხბურთელებს ანიჭებენ. ადრე „საპატიო კაპიტნის“ წოდებას ატარებდნენ ფრიც ვალტერი (რომლის ლიდერობითაც გფრ-ის ნაკრები 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა), უვე ზეელერი და ფრანც ბეკენბაუერი. ახლა აღინიშნა ლოთარ მათეუსის განსაკუთრებული მიღწევები, რომელიც, ამრიგად, მეოთხე „საპატიო — კაპიტანი“ გახდა.

## ბერტი ფოგტსს გადადგომა სურს?

**მას შემდეგ, რაც ლევერკუზენის „ბაიერმა“ XXX ტურში საკუთარ მინდორზე ვერ შეძლო „ჰამბურგის“ დამარცხება (1-1) და ამით ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე პირველი ადგილისათვის ბრძოლის თითქმის ყოველგვარი შესაძლებლობა დაკარგა, ბერტი ფოგტსმა დაუყოვნებლივ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. „ბაიერის“ მესვეურებმა დუმილი ამჯობინეს.**

## ძოლას ლონდონში დარჩენას სთხოვენ

„ჩელსის“ გულშემატკივრები ჯანფრანკო ძოლას ლონდონში დარჩენას სთხოვენ, თვით ფეხბურთელი კი იტალიაში დაბრუნებას აპირებს. ძოლა თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ მისი ქალიშვილები, 10 წლის ანდრეა და 9 წლის მარტინა მშობლიურ გარემოში უნდა იზრდებოდნენ.

„ჩელსის“ გულშემატკივრებს შორის ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებით 82 პროცენტი გამოთქვამს აზრს, რომ გამოჩენილი ფეხბურთელი ლონდონში უნდა დარჩეს.

## კარლოს რექსაჩი — სეზონის ბოლომდე

„ბარსელონას“ დირექტორატმა მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაანთავისუფლა ლორენსო სერა ფერერი, რომლის მუშაობა კატალონიურ კლუბში მეტად მარცხიანი გამოდგა.

სეზონის ბოლომდე „ბარსას“ უხელმძღვანელებს კარლოს რექსაჩი. იგი ადრე ამ კლუბში იოჰან კრუიფის ასისტენტად მუშაობდა. რექსაჩი გულშემატკივრებს „ბარსელონას“ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას ჰპირდება.



# რონალდო დაბრუნდა, როდის ითამაშებს?

**1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე რონალდო ფეხბურთის სამყაროში №1 ვარსკვლავად ითვლებოდა და ამ საკითხზე თითქმის არც არავინ დავობდა. იმ უბედური ფინალური მატჩის შემდეგ კი...**

ბრაზილიელი თავდამსხმელის კარიერა მილანის „ინტერში“ ძალიან მარცხიანად წარიმართა (ისევე, როგორც ოდნავ მოგვიანებით ამავე გუნდში კრისტიან ვიერისა), ამას მოჰყვა ის უმძიმესი ტრავმა, რომელმაც განთქმული ფეხბურთელი ძალიან დიდხანს ჩამოაშორა ასპარეზს.

როგორც ზოგიერთი ბრაზილიელი კომენტატორი ამტკიცებს, რონალდოს ამ ტრავმაში დანაშაული მიუძღვის მის... თავისებურ ტექნიკას, ეს გახლავთ წინ გავარდნის დროს რიტმისა და სირბილის მიმართულების შეცვლა, კორპუსის მხოლოდ რონალდოსათვის დამახასიათებელი მოძრაობით. როგორც რონალდოს პირადი ექიმი, ფიზიოთერაპევტი ნილტონ პეტრონე ამტკიცებს, ასეთ ტრავმას საერთოდ არა ვხვდებით ფეხბურთელებთან, მით უმეტეს, თავდამსხმელებთან. სამაგიეროდ, ასეთი შემთხვევები ხშირია მოთხილამურეებში და მორაგბეებში, რომლებიც უფრო მკვეთრად იცვლიან რიტმს და მოძრაობის მიმართულებას.

დიახ, როგორც პეტრონე თვლის, რონალდო თავისი ტექნიკის მსხვერპლი გახდა. დასაწყისში ექიმმა ფეხბურთელს ურჩია ცოტათი გამხდარიყო, ვთქვათ, ერთი-ორი კილოგრამით. ეს ფეხბურთელმა გააკეთა კიდეც. დღეისათვის იგი 183 სმ სიმაღლისაა და 82 კგ-ს იწონის. სხეულის ქონის მასა 11 პროცენტიდან სასურველია 9,8 პროცენტამდე შემცირდეს. ისე კი, რონალდოს საგულდაგულოდ უმკურნალეს და 12 აპრილისათვის (წელიწადზე მეტი პაუზის შემდეგ) ექიმებმა გამოაცხადეს, რომ თავდამსხმელი სავსებით განიკურნა.

ამის შემდეგ იგი ბრაზილიიდან პორტლენდში (აშშ) გაემგზავრა, სადაც მონაწილეობა მიიღო „ნაიკის“ ფირმის სახსრებით აშენებული ახალი შესანიშნავი სტადიონის გახსნაში. „ნაიკი“ ბრაზილიის ნაკრებისა და თვით რონალდოს მთავარი სპონსორია. ადრე მან შექმნა დიდ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანისა და მძლეოსან მაიკლ ჯონსონის ქანდაკებები. ახლა პორტლენდის სტადიონს რონალდოს სახელი დაერქვა და იქ, ცხადია, მისი ქანდაკებაც დაიდგა.

აშშ-დან რონალდო მილანში ჩავიდა და „ინტერის“ მოთამაშეებს შეუერთდა. „ინტერის“ სატურნირო მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე უარესია, ვიდრე მის მესვეურებს სურთ. ჩემპიონობაზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტია, მაგრამ უეფას თასის საგზურის მოპოვება, ფინიშზე კარგი თამაშით, ეტყობა შეიძლება. თვით რონალდოს სურს თამაში, მაგრამ ზოგი სპეციალისტი მას სთხოვს ნუ დაუბრუნდება მინდორს, ჯერჯერობით თავი შეიკავოს. დიახ, იგი ბრაზილიაში მონაწილეობდა ამხანაგურ მატჩებში, ძალიან კარგადაც გამოიყურებოდა, მაგრამ ერთია მოქმედება ყოველგვარი დაძაბვის გარეშე და სულ სხვა ის გიჟური ვითარება, რომელიც ახლა იტალიის ჩემპიონატში შეიქმნა. იქ სულ იოლია ახალი უმძიმესი ტრავმის მიღება და კიდევ კარგა ხნით „დასვენება“. რონალდო არ უსმენს ამ ექსპერტებს. მას უნდა „ინტერს“ გამოადგეს და ზაფხულში კი „კოპა ამერიკას“ გათამაშებაში მიიღოს მონაწილეობა.

რაც შეეხება ბრაზილიის ნაკრებს, ახლა ხომ მისი მდგომარეობაც აშკარად არასასურველია. ამიტომ მწვრთნელი ემერსონ ლეაო მოუთმენლად ელის განთქმული თავდამსხმელის დაბრუნებას.

თვით რონალდო სულაც არა თვლის, რომ ბრაზილიის ნაკრები ისეთ უიმედო მდგომარეობაშია, როგორც ეს მის გულშემატკივარ „ტორსედორესებს“ წარმოუდგენიათ. ჯერ ერთი, როგორც რონალდო თვლის, ამ ნაკრებს ჰყავს სამი დიდი ვარსკვლავი, რომლებსაც მწვრთნელი უნდა დაეყრდნოს და საქმეც კარგად წავა. ვინ არის ეს სამი დიდი ვარსკვლავი? ჯერ ერთი, დიდად ნიჭიერი, ახალგაზრდა რონალდინიო გაუშო, რომელზეც ახლა ბევრი კლუბი ნადირობს და რომელიც თითქოს „პარი სენ-ჟერმენში“ გადადის. მეორე გახლავთ უბერებელი ვეტერანი რომარიო, რომელიც ჯერ მარიო ზაგალომ სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყვანა ნაკრებიდან, შემდეგ ზაგალოს ვანდერლეი ლუქსემბურგომ მიბაძა, თვითონვე ინანა და ეს იშვიათი სნაიპერი ისევ დააბრუნა გუნდში. ემერსონ ლეაო ამ საკითხზე არა დავობს — რომარიომ უნდა ითამაშოს! მესამე კაშკაშა ვარსკვლავად რონალდო რივალდოს თვლის. „მე არ მინდოდა ის მცველი ვყოფილიყავი, რომელსაც ასეთი ფეხბურთელების შეჩერებას დაავალებდნენ“ — იხუმრა რონალდომ და მანვე იმაზეც იმსჯელა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მწვრთნელმა ეს შესანიშნავი ოსტატები. რივალდოს ადგილი მარცხენა ფრთაზე უნდა განეკუთვნოს (ზოგი სპეციალისტი მას ნახევარდაცვის ცენტრში ათამაშებს, რაც ნაკლებად ხელსაყრელია), რონალდინიო გაუშოს მარჯვნივ, ხოლო რომარიოს წინ, მეტოქის კართან სიახლოვეს. მან ხომ ისე იცის საგოლე მომენტების გამოყენება, როგორც არავინ. თვით რონალდო იმოქმედებს რომარიოს ზურგში, იმოძრავებს ამ სამეულს შორის და წარმართავს ამ შემტევ ბლოკს.

თეორიულად ყველაფერი მშვენივრადაა, ახლა საჭირო გახდება მისი პრაქტიკულად განხორციელება.

მოვუსმინოთ კვლავ რონალდოს:

— მე მიყვარს ცენტრალური ზონის მოთამაშეები, რომლებიც კარგად აფასებენ მინდორზე შექმნილ სიტუაციას, შეუძლიათ თავდამსხმელის ზუსტი გადაცემით მომარაგება. ასეთია დე ლა პენია, გვარდიოლა, ბრაზილიელთაგან კი „პალმეირასის“ ნახევარმცველი ალექსი.

რონალდომ ილაპარაკა რომარიოზეც, რომელთანაც, მართალია, ნაკრებში ისე ხშირად არ უთამაშია, მაგრამ, როცა კი ერთად მოქმედება. მოუხდათ, მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს.

რას ფიქრობს რონალდო თავის ახლანდელ საკუთარ შესაძლებლობებზე?

თვლის, რომ ყველანაირად არის მზად, ის კია, რომ ვერ გამოასწორა თავისი ტრადიციული ნაკლი — სუსტად თამაშობს თავით.

— არ ვიცი, რაშია საქმე, პოზიციის შერჩევის საკითხია თუ სხვა რამ. როცა მარცხენა ფრთიდან მაღალ გადაცემას ახორციელებენ, მე ვერ ვახერხებ გვარიანად თამაშს.



რონალდო თავს ინდივიდუალისტად არა თვლის. ეს ხომ ინდივიდუალიზმი არ არის, როცა თავდამსხმელი თავისი სათამაშო ფუნქციის განხორციელებისას ინიციატივას იჩენს და ცდილობს თამაშის ბედის გადაწყვეტას. რონალდოს შესანიშნავად შეუძლია მეტოქეების როგორც სისწრაფით ჩამოტოვება, ისე გარშემორტყმულ მოწინააღმდეგეების ილეთებით თავიდან მოცილება. როცა იგი მინიფეხბურთს თამაშოს, შეუძლია ურთულესი მდგომარეობიდან თავის დაღწევა არა მარტო სისწრაფით, არამედ ცრუ მოძრაობითაც, როგორც ამას პელე აკეთებდა.

ერთი სიტყვით, რონალდო ასპარეზს უბრუნდება, თამაშს იწყებს, ეტყობა, არც ისე დიდი ხნის შემდეგ.

**გივი თორელი**

# „ნანტი“ და მისი მდევრები

**საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა**

საფრანგეთის ჩემპიონატში მართლაც რომ უცნაური ამბები ხდება. სად არიან მისი ტრადიციული ლიდერები „მონაკო“, „პარი სენ-ჟერმენი“, გნებავთ „ოლიმპიკი“ (მარსელი)? ახლა, როცა პირველობის დამთავრებამდე, სულ სამი ტური რჩება, პირველ ორს ევროსაგზურების მოპოვების შესაძლებლობა საერთოდ არა აქვს, „ოლიმპიკმა“ კი უფრო იმაზე უნდა იფიქროს, რომ აუტსაიდერთა დევნას თავი დააღწიოს.

ამდენი გამოცანა სულ რაღაც ერთ ჩემპიონატში?

„ნანტი“, რომელიც ქულას ქულაზე აგროვებს, ახლა ერთპიროვნული ლიდერია (59 ქულა), მეორე ადგილზე მყოფ „ლიონს“ 4 ქულით უსწრებს. ამ გუნდის სტიქია შეტევაა. ყველგან, სტუმრადაც, და, რა თქმა უნდა, საკუთარ მინდორზეც, რეინალდ დენუეის გუნდი ღია ფეხბურთს თამაშობს. მის შეტევებს წარმართავს სტეფან ზიანი, დახელოვნებული დირიჟორი, თავდამსხმელებს კი ლიგაში ყველაზე მეტი გოლი გააქვთ. XXVIII ტურის გასვლით მატჩში „რენთან“ ლიდერმა პირდაპირ დათრგუნა მეტოქე. კუთხურის მიწოდებით „ნანტის“ გამოცდილმა არგენტინელმა მცველმა ფაბრიმ გახსნა ანგარიში, შემდეგ თამაშის მიწურულს ახალგაზრდა თავდამსხმელმა ვაირუამ კიდევ ერთი გოლი გაიტანა და საბოლოო შედეგიც ასე (2-0) აღინიშნა.

XXIX ტურში „ნანტი“ საპრიზო ადგილის (თუ ჩემპიონობის) ერთ-ერთ პრეტენდენტ „სედანს“ მასპინძლობდა და უძლიერესი დარტყმა აგემა. მე-13 წუთზე „სედანის“ ფეხბურთელმა კაპრონმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, „სედანს“ შემდეგში მატჩის გადარჩენის არავითარი საშუალება არ ჰქონია. გოლები სტუმრების კარში გაიტანეს თბილისელთა ნაცნობმა მოლდოვანმა მონტერუბიომ და ოლემბემ, „სედანიდან“ კი მხოლოდ ნ'დიეფიმ გამოიჩინა თავი.

„ნანტი“ მომდევნო ტურებში კიდევ უფრო მოსწყდა უახლოეს მდევარ „ლილს“, დღეისათვის კი მეორე ადგილზე უკვე შესანიშნავად მოთამაშე „ლიონია“. ძნელი სათქმელია, შეძლებს სულ რაღაც სამ ტურში „ლიონი“ დაეწიოს ლიდერს (ეტყობა, მაინც ვერ შეძლებს), მაგრამ ჟან სანტინის გუნდი საფრანგეთში ყველაზე ძლიერად რომ გამოიყურება, ეს ფაქტია. გავიხსენოთ მისი ამასწინანდელი მატჩები ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნსა“ (3-0) და მოსკოვის „სპარტაკთან“. ისიც ცხადია, რომ მან ფინიშზე, როგორც ამბობენ, კი „მოუმატა“, მაგრამ, ექსპერტების აზრით, ეს ცოტა ადრე რომ მომხდარიყო, ნამდვილად სჯობდა. შესანიშნავად თამაშობს „ლიონის“ სწრაფი, ტექნიკური, შემტევი სამეული: სონი ანდერსონი, რომელსაც სისტემატურად' აკვირდებიან ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელები (ისევე, როგორც „გალათასარაიში“ მოთამაშე მარიო ქარდელსა და „ბაიერნის“ თავდამსხმელ ჯოვანე ელბერს), მაგრამ იშ-



„ტულუზა“ – სენტ-ეტიენი.

ვიათად იწვევენ, აგრეთვე სიდნეი გოვუ (იგი ახლა საყოველთაო ყურადღებას იპყრობს) და ვიკაშ დორაზო.

ჩემპიონობის ერთგვარ შესაძლებლობებს ახლა „ლილიც“ ინარჩუნებს, რომელსაც ბოსნიელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი წვრთნის. „ბორდო“ კი კმაყოფილი იქნება, თუ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება. იგი, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ფრანგული კლუბი, მეტად ხისტად თამაშობს, ხშირია ტრავმები, ბრძოლა მინდვრის თითოეულ მეტრზე მიმდინარეობს.

ძველებურად ულიმღამოდ თამაშობენ გ.ხსენებული კლუბები, „პარი სენ-ჟერმენი“ და მარსელის „ოლიმპიკი“. პსჟ-ს ერთადერთი „ხეირი“ ის არის, რომ მას დღეისათვის უმაღლესი დივიზიონის დატოვება არ ემუქრება. ისე კი, კინაღამ აქამდე მივიდა საქმე. სრულიად გაუცრუა გულშემა-



ბერნარ ტაპი.

ტკივრებს იმედები საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულმა მოთამაშემ — ნიკოლა ანელკამ, ხოლო მისი არაერთგზისი განცხადება, რომ კლუბში გამოსწორდებოდა საქმე, სრულიად უსაფუძვლო გამოდგა.

როგორც მკითხველს უკვე მოეხსენება, მარსელის „ოლიმპიკში“ ბოლო ხანებში დიდი ცვლილებები მოხდა. მას დაუბრუნდა ძველი ხელმძღვანელი, ფრანგულ ფეხბურთსა და პოლიტიკაში სკანდალურად ცნობილი ბერნარ ტაპი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ჯერ „ოლიმპიკის“ არნახული აღზევება — ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება, შემდეგ კი უმაღლესი დივიზიონიდან გაძევება (და თვით ტაპის დაპატიმრება). რაც იყო, იყო! ახლა კი ტაპი ვერაფრით ეგუება მისი საყვარელი კლუბის დაცემას და უნდა მისი აღორძინება. თანხები ტაპის არასოდეს აკლდა და ახალი სეზონიდან რამდენიმე გამოჩენილი ოსტატის მიწვევას აპირებს. პირველი ნაბიჯი კი იყო ესპანელი მწვრთნელის (ბასკის), ხავიერ კლემენტეს მოხსნა და მის ნაცვლად ხორვატ ტომისლავ ივიჩის მიწვევა.

სანამ გათამაშების ცხრილის სათავეში დიდი დავაა, მწვავე ბრძოლა გრძელდება მის ფსკერზეც, ოღონდ, როგორც ჩანს, „ტულუზასა“ და „სტრასბურს“ უკვე ვეღარაფერი იხსნის. არც „სენტ-ეტიენსა“ და „მეცს“ აქვთ კარგად საქმე.

გადავხედოთ ლიდერების ბოლო ტურების მატჩებს. მორიგი XXXII ტური 28 აპრილს გაიმართება. „ნანტს“ მძიმე მატჩი აქვს სტუმრად „ტრუასთან“, რომელმაც წელს გამოიღვიძა და ასე გასინჯეთ, უეფას თასის საგზურის პრეტენზიაც კი გაუჩნდა. ამავე ტურში უმნიშვნელოვანესი მატჩია ლიდში, სადაც „ლიონი“ სტუმრობს. სატურნირო ცხრილში მეზობლების „რენისა“ და „ბორდოს“ მატჩსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

XXXIII ტური 12 მაისს გაიმართება („ფანჯარა“ თასის მფლობელის გამოვლენას სჭირდება). „ნანტი“, „სენტ-ეტიენს“ ხვდება, რომელსაც, უმაღლესი დივიზიონის დატოვება ემუქრება. „ლიონს“ შინ არ უნდა გაუჭირდეს „სტრასბურთან“, ხოლო „ლილს“ პარიზში მძიმე მატჩი მოელის „პსჟ“-სთან.

ჩემპიონატი 19 მაისს დამთავრდება. ამ დღეს „ნანტი“, რომელიც შესაძლოა, უკვე ჩემპიონი გახდეს, სტუმრად ითამაშებს „ლანსთან“. რაც შეეხება „ლიონს“, იგი საკმაოდ ძლიერ „რენს“ უნდა ესტუმროს, ხოლო „ლილი“ ასევე გასვლით მატჩს ჩაატარებს უკვე ექს-ჩემპიონ „ბორდოსთან“.

ერთი სიტყვით, საფრანგეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ბევრი ალარაფერი რჩება.

**ბიჭი ბამრეკელი**




სონი ანდერსონი.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



### ბლატერს ახალი ვადით პრეზიდენტობა სურს

როგორც ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, მას სურს კვლავ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ახალი ვადით. პრეზიდენტის არჩევნები 2002 წელს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ.

— 1998 წელს ჩემს არჩევამდე ვაცხადებდი, რომ ფეხბურთში სრული წესრიგის დასამყარებლად საჭიროა პრეზიდენტობის ორი ვადა. ჩემი საქმიანობის გაგრძელება მინდა, თუ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა არ მიღალატებს.

### უეფას თასის რეფორმირების პროექტი

როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, 2002-3 წლების სეზონიდან უეფას თასის გათამაშებაში გარკვეული რეფორმები მოხდება. კერძოდ, იგი აგრეთვე სქემით გათამაშდება, როგორც ჩემპიონთა ლიგა, რათა მოხდეს კალენდრის სინქრონიზაცია. ამას მოითხოვენ ის კლუბები, რომლებიც თავიანთ ჩემპიონატებში უეფას თასზე მოხვედრისათვის იბრძვიან.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, აქ 2003 წლამდე რაიმე ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

### უპასუხოს უახლოეს დღეებში

ლა-კორუნიას „დეპორტივოს“ ხელმძღვანელობამ წინადადება მისცა მთავარ მწვრთნელ ხავიერ ირურეტას გააგრძელოს კონტრაქტი, რომელიც 2001 წლის 30 ივნისს დასრულდება. თუკი ირურეტა უარს იტყვის, მაშინ მიიწვევენ ლუის არაგონესს, რომელიც ახლა „მალიორკას“ უდგას სათავეში. ირურეტამ პასუხი უახლოეს დღეებში უნდა გასცეს.

მას შემდეგ, რაც „დეპორტივო“ „ლიდს იუნაიტედთან“ დამარცხდა, ხავიერ ირურეტას გაუფუჭდა ურთიერთობა კლუბის პრეზიდენტ აუგუსტო ლენდოიროსთან.

ტედი შერინგემი.




### თერიმს ვილა მიიწვევს?

როგორც სპორტული პრესა არაერთგზის იუწყებოდა იმ დროს, როცა „მილანში“ ალბერტო ძაკერონის აშკარად წყალი შეუდგა, კლუბის მესვეურებმა მოლაპარაკება გამართეს ჯერ კიდევ „ფიორენტინაში“ მომუშავე თურქ ფატიხ თერიმთან და მომავალი სეზონიდან თავიანთ კლუბში მოიწვიეს იგი. შემდეგ ის იყო, რომ თერიმი „ფიორენტინას“ გამოეთხოვა, ძაკერონიმ „მილანი“ დატოვა და იგი მრავალნაცადმა ჩეზარე მალდინიმ შეცვალა. მალდინის მესაჭეობით „მილანმა“ 4 მატჩში ათი ქულა მოაგროვა ისე, რომ ერთი გოლი რა არის, ისიც არ გაუშვია. ასეთ პირობებში თერიმს „მილანში“ ვილა მიიწვევს?

### თუ ნაკრების მოთამაშეებმა საქმე არ გაართულეს

რაც სამარის (ყოფილი კუიბიშევის) „კრილია სოვეტოვი“ არსებობს, მას არასოდეს მიუპყრია სპეციალისტების ესოდენი ყურადღება. ეს გასაგებია — აქამდე სრულიად უფერული კლუბი ახლა ზედიზედ იგებს და თანაც როგორ!

როგორც კლუბის ხელმძღვანელობა თვლის, წარმატება კვლავაც გრძელდება, თუ საქმე არ გაურთულეს წასვლა-წამოსვლით სხვადასხვა ნაკრებების მოთამაშეებმა. ესენი კი არიან დოხოიანი (სომხეთი), შუნეიკო (ბელორუსია), კასიმოვი (უზბეკეთი), იოკშასი (ლიტვა), კოვბა (უკრაინა). ქართველები ამ გუნდში უკვე აღარ თამაშობენ.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ტედი შერინგემი – წლის ფეხბურთელი

ინგლისის საფეხბურთო ჟურნალისტების ასოციაციამ წლის ფეხბურთელის წოდება მიანიჭა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელს, 35 წლის ტედი შერინგემს. საინტერესოა, რომ 1994 წლიდან მოყოლებული, ეს პირველი ინგლისელია, რომელსაც წლის ფეხბურთელის წოდება მიენიჭა. აქამდე საუკეთესოებად ჩვეულებრივ უცხოელებს ასახელებდნენ.

წლის ფეხბურთელს სერ სტენლი მეტიუზის პატარა გამოსახულება გადაეცემა. შერინგემმა სულ 5 ქულით გაასწრო თანაგუნდელ დევიდ ბექჰემს. მესამეა „არსენალის“ ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა. შარშან კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა როი კინმა გაიმარჯვა.

# ჭადრაკი
## სამი ჩემპიონი ფიდეს წინააღმდეგ

მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონი გარი კასპაროვი ფიდეს რომ უპირისპირდებოდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას ურთიერთობა დაეძაბა მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონ ანატოლი კარპოვთანაც. აქ ხომ საქმე სასამართლომდეც მივიდა. ამ დღეებში კი უფროს კოლეგებს მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკიც შეუერთდა.

მაინც რას ემართლებიან ეს განთქმული მოჭადრაკეები ფიდეს? მათ გამოაქვეყნეს ღია წერილი, სადაც საჭადრაკო საზოგადოებრიობას მოუწოდებენ ხმა აიმაღლოს ამ ორგანიზაციის თვითნებობის წინააღმდეგ.

დიდოსტატები ფიდეს სამ რამეში ედავებიან. პირველია 6 საათიანი სათამაშო დროის 4-მდე შემცირება, რაც ჩემპიონებს დაუშვებლად მიაჩნიათ. მეორეა მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარება, სადაც ფიდე მკვეთრად დაუპირისპირდა მრავალწლიან ტრადიციას და მატჩები ნოკაუტ-სისტემით შეცვალა, რამაც ჭადრაკის გარკვეული დევალვაცია უნდა გამოიწვიოს. კარპოვი, კასპაროვი და კრამნიკი დაუშვებლად თვლიან ფიდეს დაპირისპირებას უდიდესი საერთაშორისო ტურნირების — ვეიკ-ან-ზეეს, ლინარესის და დორტმუნდის შეჯიბრების ორგანიზატორებთან...

თუკი ფიდეს ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა თანამედროვეობის სამი წამყვანი მოჭადრაკის პოზიცია და გარკვეული ნაბიჯი არ გადადგა, მიმომხილველთა აზრით, მოსალოდნელია საჭადრაკო სამყაროში ისედაც არამყარი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება.

## ხდება, ყველაფერი ხდება...

### პაველ ბურე ჰამბურგერებს ყიდის

მოსკოვში, ლენინგრადის პროსპექტზე მდებარე რესტორან „მაკავტომ". ლეგენდარული ხოკეისტი პაველ ბურე ნახევარი საათით დაიქირავა... ჰამბურგერების გასაყიდად. რადგან გაზეთი „კომერსანტი" იტყობინება, პაველ ბურე დახლთან ასევე ცნობილ პიროვნებას, ოღონდ ესტრადაზე, ფილიპ კიროკვს შეუცვლია.

### საბონისი შეურაცხყვეს...

საკალათბურთო კლუბ „პორტლანდ თრეილ ბლეიზერსის" მოთამაშე რაშიდ ვოლასი ზღვარგადასული თავხედობით მხოლოდ საკუთარ თავს თუ გაეჯიბრება. ეს კალათბურთელი ახალ სკანდალში გაეხვია. ამჯერად უზრდელობა მან არა ვინმეს, არამედ თვით არვიდას საბონისის მიმართ გამოიჩინა. „ლეიკერსის" წინააღმდეგ მატჩში შაკილ ო, ნილთან ბრძოლაში საბონისის ხელი შემთხვევით მოხვდა ვოლასს, გაბრაზებულმა სათადარიგოთა სკამს მიაშურა, პირსახოცს დაავლო ხელი და სახეში ესროლა საბონისს. ადრე მას ასეთივე ხულიგნობა ჩაუდენია ნბა-ს არბიტრის მიმართ, რომელსაც ვოლასი დაუყოვნებლივ გაუძევებია მოედნიდან. სხვათა შორის საბონისს შეურაცხყოფაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ჯერჯერობით.

### მოჭიდავემ ბანდიდი შებოჭა

ეს ამბავი ტორონტოში (კანადა) მოხდა. მანდილოსანს, რომელსაც სავსე ჩანთით სალამოს ბანკში ფული მიჰქონდა შესატანად, ვიღაც ახალგაზრდა წამოეწია, ჩანთა გამოგლიჯა და მიმალვას შეეცადა. გამვლელთა შორის აღმოჩნდა ყოფილი მოჭიდავე რეგ ტოიუსი, რომელიც ბანდიტს წამოეწია, უმალვე ასფალტზე დასცა და შებოჭა და მკლავის მოტეხვით დაემუქრა თუ ჩანთას ქალს არ დაუბრუნებდა. პოლიციის ბრიგადა, რომელიც შემთხვევის ადგილზე მივიდა, გაოცებული დარჩა ვეტერანი სპორტსმენის ოსტატობით. იმ ქალბატონს, ცხადია, მადლობის მეტი არაფერი ეთქმოდა.

### ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა

დრეზდენში ფანებმა სტადიონზე დამცავი ღობე გადათელეს და ერთი გულშემატკივარი, მიუხედავად ექიმების ყოველმხრივი მცდელობისა, ორი დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.



## 11 წლის ბიჭი მსოფლიო ჩემპიონის წინააღმდეგ

საინტერესო მიწვევა მიიღო ამასწინათ მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა. მას ითხოვდნენ 4 ელვისებური პარტია ეთამაშა ქ. ლიონში (საფრანგეთში) 11 წლის ადგილობრივ ბიჭუნა ედუარდ ბონესთან, რომელიც, მისი ქომაგების აზრით, არაჩვეულებრივი საჭადრაკო ნიჭით გამოირჩევა და უკვე აქვს ფიდეს რეიტინგი.

კრამნიკმა მიიღო კიდეც ეს გამოწვევა, ხოლო ნათამაშევი პარტიები ინტერნეტის ქსელით გავრცელდა როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო ეს ოთხივე პარტია, მაგრამ ბიჭუნა მართლაც მეტად ნიჭიერი აღმოჩნდა. იგი კარგად არის გათვიცნობიერებული საჭადრაკო თეორიაში, მატჩის ერთ-ერთ შეხვედრაში ჩემპიონს დავაც კი გაუმართა ესპანური პარტიის ერთ-ერთ ვარიანტში, რომელსაც კრამნიკი შავებით წარმატებით იყენებდა მსოფლიო პირველობის მატჩში კასპაროვის წინააღმდეგ.

ედუარდ ბონე — დავიხსომოთ ეს სახელი.

## თეორია ერთია, მაგრამ პრაქტიკა?

ჰოლანდიელ დიდოსტატ ჯონ ვან დერ ვილს არავრთხელ განუცხადებია, რომ მან სხვაზე უკეთ იცის, როგორ უნდა ეთამაშოს საჭადრაკო კომპიუტერს. ერთი სიტყვით, თეორია შექმნა. ახლა კი ვნახოთ, რა გვიჩვენა პრაქტიკამ.

მაასრიჰტში (ჰოლანდია) ვან დერ ვილი ექვსი პარტიისაგან შემდგარ მატჩში შეხვდა კომპიუტერ Rebel Century-ს. დასაწყისში ისე ჩანდა, რომ კომპიუტერს მართლაც გაუჭირდებოდა — დიდოსტატი დაწინაურდა ანგარიშით 2-1, მაგრამ ბოლოს მაინც ვან დერ ვილი გამტყუნდა — საბოლოოდ დამარცხდა 2,5: 3,5.

## ოდესღაც, ცხადია, დაძლევს

18 წლის ბერლინელი დმიტრი ბუნცმანი ნიჭიერი მოჭადრაკეა და ამ ქვეყნის ჭადრაკის მესვეურებს მისი იმედები აქვთ. იგი ეროვნებით გერმანელია, თუმცა ბავშვობის წლები უზბეკეთში გაატარა, შემდეგ კი, როგორც ახლა ამბობენ, ისტორიულ სამშობლოში დასახლდა.

ბუნცმანს საერთაშორისო დიდოსტატის ორი ბალი აქვს, ე.ი ამ წოდების მისაღებად ერთიღა აკლია. იღბალი არ გინდათ, მას ამ მესამე ბალისათვის ექვსჯერ დააკლდა ნახევარი ქულა!

ისე კი, რა თქმა უნდა, ბუნცმანი, დღეს იქნება, თუ ხვალ, მიზანს ნამდვილად მიაღწევს.

## მარტინა ნავრატილოვა – „დაბრუნდა შვილი"



მარტინა ნავრატილოვამ პროფესიული ჩოგბურთი 1994 წელს დასტოვა, თუმცა სპორტის სხვადასხვა სახეობები კვლავინდებურად იტაცებდა: თხილამურები, გოლფი, კალათბურთი, ცხენოსნობა. ამავე დროს ნავრატილოვა წერს რომანებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

და მაინც (ყოფილ) ვარსკვლავს გულმა არ მოუთმინა და 2000 წელს დიდ ჩოგბურთს დაუბრუნდა. მართალია; აქ აუცილებელია ერთი განმარტება: მარტინა აღარ აპირებს ერთეულთა თანრიგში თამაშს, სადაც მას ადრე უნიკალური მიღწევა ჰქონდა: მოიპოვა 167 პირველი პრიზი! ასეთ წარმატებას ჯერჯერობით ვერცკი უახლოვდებიან ვერც მარტინა ჰინგისი (მას ხომ სახელი დედამ მარტინა ნავრატილოვას პატივსაცემად დაარქვა!), ვერც ლინდსეი დევენპორტი და ვენუს უილიამსი. ლეგენდარულ ჩოგბურთელს ახლა თამაში მხოლოდ წყვილთა თანრიგში სურს და სათანადო პარტნიორიც შეარჩია: ცნობილი ესპანელი ოსტატი არანტა სანჩესი — ვიკარიო. საყურადღებოა, რომ აქამდე ნავრატილოვამ 165 წყვილთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა. მას იმედი აქვს, რომ ამ მონაცემებსაც გააუმჯობესებს.

— თუკი ჩემს ფიზიკურ „ფორმაზე" ვილაპარაკებთ, შემიძლია ვთქვა, რომ იგი საუკეთესოა (მარტინა ნავრატილოვა 44 წლისაა — რედ.). მე შემიძლია ერთეულთა თანრიგშიც ვიასპარეზო, მაგრამ ამას არ გავაკეთებ. მე ხომ ახლა შეჯიბრებებში მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის ვმონაწილეობ. ეს არის ჩემი გატაცება, და არა სამუშაო! მე მინდა კვლავ ვიფრინო საკუთარი თვითმფრინავით, ვითამაშო ჰოკეი, გავატარო დრო საყვარელ ადამიანებთან ერთად. ამას ვერ გააკეთებ, თუ უამრავ საჩოგბურთო შეჯიბრებებში მიიღებ მონაწილეობას, ამ გიჟურ სატურნირო მარულაში ჩაებმები".

მარტინა ნავრატილოვა, როგორც თვით განაცხადა, მთელ თავის დროს ვეღარ უთმობს ჩოგბურთს, მაგრამ ყველა საჩოგბურთო მოვლენის კურსშია. კერძოდ იგი ვერ მალავდა აღშფოთებას დების ვენუს და სერენა უილიამსების მამის რიჩარდის საქციელის გამო. როცა აშშ-ს ღია ჩემპიონატის ფინალში. ვენუს უილიამსმა ლინდსეი დევენპორტი დაამარცხა, რიჩარდ უილიამსმა დემონსტრაციულად იცეკვა დევენპორტის თვალწინ.

— ეს, რომ მას ჩემს თვალწინ გაეკეთებინა იმ შემთხვევაში, რომ მე ვთქვათ, მის ქალიშვილთან წამეგო, ავდგებოდი და, უბრალოდ რომ ვთქვათ, კარგად ვცემდი. მისი საქციელი ხომ პატიოსანი სპორტული ბრძოლის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. უილიამსი ბევრს ლაპარაკობს რასიზმზე, რომ ამერიკელებს არ უყვართ მისი ქალიშვილები. ისე კი რამდენადაც ეს ჩემთვის არის ცნობილი, ნეგატიური დამოკიდებულება ამ ოჯახისადმი იმით არის განპირობებული, რომ თვით რიჩარდ უილიამსი პატივს არა სცემს არც მაყურებლებსა, და არც ჩოგბურთელებს.

## ВТА-ს რეიტინგი

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 5763. 2. ვენუს უილიამსი (აშშ) — 4824. 3. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 4378. 4. მონიკა სელეში (აშშ) — 2912. 5. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 2646. 6. სერენა უილიამსი (აშშ) — 2319. 7. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 2095. 8. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 2080. 9. ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 2053. 10. არანტა სანჩეს — ვიკარიო (ესპანეთი) — 2051. 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) — 2027. 12. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1974. 13. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 1819. 14. მარი პირსი (საფრანგეთი) — 1786. 15. კიმ კლაისტერსი (ბელგია) — 1624. 16. ანკე ჰუბერი (გერმანია) — 1624. 17. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — 1563. 18. ჩანდა რუბინი (აშშ) — 1395. 19. ჰასტინ ჰენნი (ბელგია) — 1346. 20. სანდრინ ტესტიუ საფრანგეთი) — 1322.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**27 აპრილი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი: სუპერლიგა (15.00), ნბას მიმოხილვა (18.00), ტაილანდური კრივი (20.15), წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ქალები (21.15), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (1.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: აშშ-ის (11.30), ინგლისის (12.00), იტალიის (23.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT***, ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (11.30, 19.30, 20.30, 3.15), ფეხბურთი. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის გზით (14.30, 17.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.30), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი „რეალი" – „გალათასარაი" (14.20); ესპანეთის (16.15), ჰოლანდიის (18.05, 20.45), ევროპის ქვეყნების (20.00), გერმანიის (23.10), იტალიის (1.20) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**28 აპრილი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ტორპედო" – თბილისის „დინამო" (16.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.45), ***მე-9 არხ.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***РТР.*** „ფორმულა-1". მსოფლიო ჩემპიონატი, ესპანეთის გრან-პრი (3.05), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა, პლეიოფები (11.40), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (14.40), წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ქალები (16.00), კრივი. „დიდი რინგი" (22.00), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (12.30, 21.30), ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი „ლიდსი" – „ჩელსი" (16.00, პირდაპირი, 19.00 პირდაპირი, 06.00), იტალიის ჩემპიონატი (0.00, პირდაპირი). ***EUROSPORT.*** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (13.30, 22.00), ფეხბურთი. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის გზით (14.30), ველორბოლა. მსოფლიო თასი (19.00), ცხენოსნობა. მონაკოს გრან-პრი (0.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (3.15), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის „ვოლფსბურგი" – „ბორუსია (13.15, 18.25), რუსეთის (20.50), იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი (23.30, 1.35).

**29 აპრილი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***მე-9 არხ.*** ევროპის სტადიონებზე (11.25), ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი (10.55), კარატე. საერთაშორისო ტურნიორი (23.00), ტაილანდური კრივი (1.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის (08.00, 20.00, 03.00), ჩემპიონთა ლიგის (19.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (12.30, 17.00, 19.00, 19.30), ცხენოსნობა, აშშ-დან (23.00), ევროსპორტის ახალი ამბები (3.00, 4.15). ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის (14.10), გერმანიის (15.50), იტალიის (17.55), ჩემპიონთა ლიგის (20.55), ესპანეთის (20.55, 1.35), საფრანგეთის (22.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა.



## კროსვორდი № 32

**თარაზულად:** 6. სპორტის სახეობა, 7. ცხენოსნის ჩასაცმელი, 8. „კაიზერსლაუტერნის" მცველი, 9. ბილიარდის ჯოხი, 10. პორტუგალიელი ფეხბურთელის კოშტას სახელი, 11. ჭიდაობის სახეობა, 12. ჭადრაკში სარეიტინგო სისტემა, 13. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აბრევიატურა. 16. ცნობილი ჩოგბურთელი არტურ... 20. უმაღლესი ჯილდო კინოხელოვნებასა და ჭიდაობაში, 21. ცნობილი მძლეოსანი, სამხტომელი, 22. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 23. საფეხბურთო ილეთი, 24. ლუგანსკის საფეხბურთო გუნდი.

**შვეულად:** 1. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 2. კუთხური ანუ... 3. ცხენის გამწვრთნელი ძველად, 4. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი მ/ჩემპიონი, 5. დანიის ნაკრების მეკარე და კაპიტანი, 7. ოლიმპ. თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ქართველი ფეხბურთელი, 8. ქართული საკალათბურთო გუნდი, 9. ის, ვინც ტრიუკებს ასრულებს კინოგადაღებისას, 14. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 15. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე ვაჟი, 17. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 18. დამარცხება ჭადრაკში, 19. საჭიდაო ინვენტარი.

### №31 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ფალკაო, 5. „ლეგი", 7. ლოზანა. 8. დვირი, 9. ტალი, 10. „ანცი", 11. დაშნა, 12. „რეიმსი", 14. ლეინი, 16. „ლეჩე", 17. სკაი, 18. ლიპი, 19. წონა, 20 კიი, 22. ოინი, 24. „ემპოლი", 25. როა.

**შვეულად:** 1. ფეხბურთი, 2. ლიდერი, 3. აზია, 4. საუნა, 5. ლატიშევი, 6. ილიადი, 7. ლიგა, 10. ანჩელოტი, 11. დილივიო, 13. მტკ, 15. „ნაიკი", 18. ლაგამი, 20. კროი, 21. ილიე, 23. ნოა.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



**შამათი 2-სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მფe2! 1. ...eF 2. მფ:F2 მფ:h1 3. ეh5X.
1. ...მფg1 2. მg4 მფh1 3. ეa1X.
1. ...მფ:g3 2. ეg5+მფ:f4 3. მh3X.
2. ...მფh4 3. ეg4X 2. ...მფh2 3. ეg2X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ეთერ მანგოშვილი.